პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 151 ოთხშაბათი 4 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 151

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— **პროფინტერნის საბჭომ მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს რეფორმისტების მუშაობის შესახებ.**

— **შორეულ აღმოსავლეთში წითელმა ჯარმა დაიკავა ნავთსადგური აიანი და ტყვეთ იგდო თეთრგვარდიელთა [illegible] გენერალი პეპელიაევი.**

— **სპარსეთის ვაჭრებმა გადასწყვიტეს ფართე მონაწილეობის მიღება ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე**

— **უცხოეთის გაზეთების ცნობით, მთელი რურის ოლქი გადაქცეულია დიდ ციხეთ.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს და უჯრედებს, რომ 6 ივლისს

ერთიან პარტიულ დღის

წეს-რიგი თვითონ შეიმუშაონ.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **რუბენი.**

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

ერთ დროს კარლ კაუცკი, როცა ის ჯერ კიდევ რევოლიუციონურ მარქსიზმის ნიადაგზე იდგა, წინააღმდეგი იყო ე. წ. ინგლისის მუშათა პარტიის მიღებისა მეორე ინტერნაციონალში, იმ მოსაზრებით, რომ ეს პარტია არ წარმოადგენს ნამდვილ სოციალისტურ ორგანიზაციას და არ აწარმოებს რევოლიუციონურ-კლასობრივ ბრძოლას კაპიტალისტური წყობილების დასამხობად და შრომის სუფევის დასამყარებლად.

დღეს კი ინგლისის მუშათა პარტია არის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან ერთად, მთავარი ბურჯი მეორე, ან ჰამბურგის ინტერნაციონალის.

როგორ მოხდა ამ ორი ორგანიზაციის „შეუღლება", ვინ ვის დაუახლოვდა?

მთელი ისტორია მეორე ინტერნაციონალის მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მან უკუაგდო პროლეტარიატის კლასობრივი თვალსაზრისი, ხელი აიღო მისი ბრძოლის მეთოდებისაგან, სამარცხვინოდ გასცა მუშათა კლასი და დაადგა საჰოქალაქო ზავის და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზას.

ამ მოლიპულ გზაზე დაქანებული, ის, ბუნებრივია, შეხვდა რეფორმიზმის და ოპორტიუნიზმის კლასიკურ პარტიას, ინგლისის მუშათა პარტიას.

ამ დღეებში შესდგა ამ პარტიის კონფერენცია. ინგლისის მუშათა პარტიის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ამ ქვეყნის მუშათა კლასის, ისე მუშათა საერთაშორისო მოძრაობისათვის, და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ხსენებულ კონფერენციის მუშაობას.

ინგლისის მუშათა კლასი, საერთოდ აღებული, ჯერ ისევ იმყოფება თავის ბურჟუაზიის არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობაში, არამედ, რაც უფრო ხაზგასასმელია, ის ვერ განთავისუფლებულა გაბატონებული კლასის იდეოლოგიურ, სულიერ ტყვეობიდან. ინგლისის პროლეტარიატი ის გიგანტია, რომელიც შებორკილი ჰყავს თავის ქვეყნის ერთი მუჭა მქონებელ ჯგუფს პარლამენტარული ტრადიციებით, ბურჟუაზიული ზნე-ჩვეულებებით, შეხედულებებით და სხვა ათასგვარი ქსელით.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისის მუშათა კლასი დღემდე თითქმის დაშლა დაცემულია და ვერ იჩენს ისეთ მოქმედებას, რომელიც ოდნავ მაინც უდრიდეს მის გრანდიოზულ ობიექტიურ ძალას.

ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ ინგლისის მუშათა კლასს ჰყავს ლიდერებად „მისი უდიდებულესობის, ინგლისის მეფის ტაინი სოვეტნიკები", ბურჟუაზიის აშკარა აგენტები, რომელთაგან ერთმა, სახელდობრ ტომასმა ამას წინედ განაცხადა, რომ კონფლიქტები მრეწველობაში გაუგებრობის შედეგი არისო, და არა კაპიტალისტური წყობილების თანამგზავრი მოვლენა და კლასთა ანტაგონიზმის გამოხატულება.

მაგრამ ეკონომიური კრიზისი ინგლისში იმდენად მწვავეა, კაპიტალის შეტევა მუშათა კლასზე იმდენად ძლიერი და საგრძნობი, რომ ინგლისის პროლეტარიატში თუმცა ნელა, მაგრამ მაინც თანდათანობით იზრდება რევოლიუციონური განწყობილება, რომელსაც „ლიდერები" იძულებული არიან ხანდახან ანგარიში გაუწიონ, არა იმისათვის, რა თქმა უნდა, რომ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგან არსებული წყობილების წინააღმდეგ და მუშათა კლასი ჩააბან რევოლიუციონურ ბრძოლაში, არამედ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ მუშათა კლასის მეთაურობა და ნდობა, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო მოხერხებულად შეასრულონ ბურჟუაზიის აგენტის როლი მშრომელ მასსაში.

ამიტომ მათ რევოლიუციონურ სიტყვებს და ასეთივე დადგენილებებს, წარმოთქმულთ თუ მიღებულთ მუშათა კლასის ზეგავლენით, უნდა შევხედოთ, როგორც მანევრს ამავე მუშათა კლასის მოსატყუებლად.

ასეთია კონფერენციის მიერ გამოტანილი რეზოლიუცია, რომლის მიხედვით „პარტიის მთავარ ამოცანას შეადგენს კაპიტალისტური წყობილების ცვლა სოციალისტურით" და სხვა ასეთები.

ჩვენ უფრო საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ზოგიერთი სხვა მომენტები კონფერენციის მუშაობაში.

კონფერენციამ სრულიად უმნიშვნელო ფორმალური მოსაზრებით უარი განაცხადა უმუშევრების მიღებაზე მუშათა პარტიის წევრებად.

კონფერენციამ არც კი მოისურვა მოესმინა უმუშევართა წარმომადგენლები.

კონფერენციის ასეთი ნაბიჯის ნამდვილი სარჩული იმაში მდგომარეობს, რომ უმუშევართა მოძრაობას ხელმძღვანელობენ კომუნისტები. მუშათა პარტიას ეშინია კომუნისტურად განწყობილ ელემენტების გაძლიერებისა თავის რიგებში.

აგრეთვე უარყოფილ იქნა წინადადება კომუნისტ დეპუტატის ამხ. ნიუბოლდის შეყვანის შესახებ მუშათა პარტიის პარლამენტის ფრაქციის სამდივნოში, რადგან ეს ფარდას ახდიდა ფრაქციის მოქმედების ბნელ კუნჭულებს და ხელს შეუშლიდა ფრაქციას ეწარმოებია საპარლამენტო კომბინაციები.

უფრო საყურადღებოა უარყოფა კონფერენციის მიერ რეზოლიუციის, რომელიც წინადადებას აძლევდა საპარლამენტო ფრაქციას ხმა მიეცა სამხედრო და საზღვაო კრედიტების წინააღმდეგ. ჰენდერსონმა განაცხადა, რომ სისულელე იქნება ქვეყნის დაცვაზე უარის თქმაო.

როგორც ვიცით, ჰამბურგის კონგრესმა ბურჟუაზიულ სამშობლოს დაცვის საკითხი ღიად დასტოვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ „სოციალისტური" პარტიები ძველებურად მოიქცევიან ომის საკითხში და თავიანთ მთავრობებს ამოუდგებიან გვერდში. ამის დადასტურებაა, სხვათა შორის, პოზიცია ინგლისის მუშათა პარტიის, რომელიც სამხედრო კრედიტების მომხრედ გამოდის.

შემდეგ ჩვენ ყურადღებას იპყრობს კონფერენციის დამოკიდებულება დაჩაგრულ ხალხების მიმართ.

ერთმა დელეგატმა შეიტანა წინადადება კომისიის დაარსების შესახებ ბრიტანეთისადმი დაქვემდებარებულ ხალხების შევიწროების საკითხების გამოსარკვევად, ამასთან წინადადება შეიტანა მოეწყოთ დაუყოვნებლივი გამოსვლა ამ საკითხის გამო.

ამაზე საპასუხოდ მაკდონალდმა უსირცხვილოდ განაცხადა, რომ მუშათა პარტია ყოველთვის იბრძოდა დაჩაგრულ მასსების ინტერესებისათვისო (?!). მაგრამ ვინ არ იცის, რომ ასეთი ბრძოლა მუშათა პარტიას არასოდეს არ უწარმოებია, და თუ ის აქტიურად არა, თავისი სიჩუმით და უმოქმედობით ხელს უწყობდა ინგლისის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ბოლოს ჩვენ გვინდა მოვიხსენიოთ კონფერენციის პოზიცია რუსეთის საკითხში. კონფერენცია ლაქიური კილოთი „გამოსთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ მთავრობამ მიიღო მუშათა პარტიის პოლიტიკა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დაცვის საკითხში". შემდეგ გამოთქმულია სურვილი რუსეთის ცნობის შესახებ.

ინგლის-რუსეთის კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებას, რაც იყო შედეგი ჩვენი უაღრესად მშვიდობიანი და დათმობითი პოლიტიკის, კონფერენცია თვლის მუშათა პარტიის დამსახურებად. ნამდვილად კი ყველამ უწყის, რომ ინგლისის მუშათა პარტიამ ოდნავადაც ვერ აწარმოვა ამ შემთხვევაში ის მუშაობა, რომელიც მას შეეძლო.

რაც შეეხება რუსეთის ცნობის შესახებ გამოთქმულ სურვილს, ამაში დღეს არაფერია რევოლიუციონური. ამის საჭიროებას გრძნობენ არა „სოციალისტები", ბურჟუაზიის საქმიანი წრეებიც, და ზოგიერთი მათგანი რუსეთის ცნობას მოითხოვს კიდეც უფრო კატეგორიული ფორმით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს კონფერენცია, ერთი მხრივ მაჩვენებელია ინგლისის მუშათა მასსის რევოლიუციონური განწყობილების ზრდის, რაც იძულებულს ხდის მის ლიდერებს ზოგიერთ საკითხების შესახებ ერთგვარ რევოლიუციონურ სიტყვიერებას მიმართონ; მეორე მხრივ, კონფერენცია მოწმობს, რომ ეს „ლიდერები" ძველებურად ცდილობენ ამყოფონ მუშათა კლასი ბურჟუაზიის ტყვეობაში და შეიკავონ ის გადაჭრილ რევოლიუციონურ მოქმედებიდან.

მაგრამ ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივი გამოფხიზლება დაწყებულია და ამ პროცესს ცხოვრების ობიექტიური ვითარება მიიყვანს თავის ლოღიკურ დასკვნამდე.

არც ისე შორსაა ის დრო, როცა ინგლისის „გოლიათი", მუშათა კლასი ბორკილებს დაამსხვრევს და წალეკავს არა მარტო მის სულთამხუთავ ბურჟუაზიას, არამედ ამ უკანასკნელის დამქაშსაც, ინგლისის მუშათა კლასის არისტოკრატიას.

ამის საკმაო ნიშნები უკვე სჩანს.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესია

მოხსენება თათართა რესპუბლიკის ცაკის მუშაობის შესახებ.

მოსკოვი. 2 ივლისი. სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სესიის დღევანდელ სხდომაზე მოისმინეს საბიროვის მოხსენება თათართა რესპუბლიკის ცაკის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა მიუთითა მნიშვნელოვან შედეგებზე, რომელიც მიღწეულია თემის აღმასკომების მუშაობაში თათართა მოსახლეობის ჩაბმის სფეროში: თათართა 2 პროცენტის ნაცვლად ეხლა აღმასკომებში მუშაობს 37 პროცენტი. თათართა რესპუბლიკაში ამ ჟამად რუსული სკოლების რიცხვი უდრის 1500, თათართა სკოლების რიცხვი დაახლოვებით უდრის 1000. საბიროვი აღნიშნავს სიმშილობის გამო გამოწვეულ კრიზისს თათართა რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობაში და სთხოვს სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასკომს მიაქციოს ამას მეტი ყურადღება.

სამაზრო აღმასკომების აპარატის რეორგანიზაცია.

ამხ. საპრონოვმა წარმოადგინა სამაზრო აღმასკომების აპარატის გამარტივების პროექტები, რომლითაც სამხედრო, საადგილმამულო განყოფილებები და სტატისტიკური ბიუროები რჩებიან ძველებურ საფუძველზე, საფინანსო განყოფილება შეუერთდება სასურსათოს და ეწოდება მას საფინანსო-საგადასახადო განყოფილება; მმართველობის განყოფილება უქმდება და სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმს ევალება სასოფლო საბჭოების, თემის აღმასკომების და სამაზრო აღმასკომების განყოფილებისათვის ინსტრუქციების მიწოდების ხელმძღვანელობა. ადმინისტრატიული ფუნქციები ეძლევა მილიციის სამმართველოებს. შრომის განყოფილების ფუნქციები გადაეცემა შრომის ინსპექციას, უაპარატოთ. კომუნალური, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები ერთდებიან განათლების და ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებაში.

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასკომის პროექტი მოიწონეს ყველა სახალხო კომისარიატებმა და აგრეთვე 65 საგუბერნიო აღმასკომმა. საორგანიზაციო ფუნქციების პრეზიდიუმისათვის გადაცემას მიემხრო 58 საგუბერნიო აღმასკომი, სამაზრო სასურსათო კომიტეტების და საფინანსო განყოფილებების გაერთიანებას მიემხრო 20 საგუბერნიო აღმასკომი. ამხ. საპრონოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომმა პროექტის განხორციელების გზით მოახერხა მიწერ-მოწერის შემცირება 15 პროცენტით. რიაზანის საგუბერნიო აღმასკომმა პროექტის განხორციელებით შესძლო შტატების შემცირება 35 პროცენტით. ამხ. საპრონოვი აღნიშნავს, რომ ადგილებიდან მოსმენილი მოხსენებები ლაპარაკობენ, რომ რეფორმა არა თუ დროულია, არამედ საკმაოდ დაგვიანებულიც, რადგანაც ადგილებზე დამოუკიდებლად მოახდინეს აპარატების რეორგანიზაცია.

კამათი.

მოხსენების გამო კამათში ამხ. ბრიუხანოვი არ ილაშქრებს მთელი პროექტის წინააღმდეგ, მაგრამ ეწინააღმდეგება სამაზრო სასურსათო კომიტეტების და სამაზრო საფინანსო განყოფილებების გაერთიანებას მახლობელ სასურსათო კამპანიის დამთავრებამდე.

ამხ. ლარინი იცავს შრომის სამაზრო განყოფილებების დამოუკიდებლობას და აღნიშნავს, რომ მათი ლიკვიდაციით გაუერთიანებელი პროფკავშირების მუშები ჩავარდებიან კერძო კაპიტალის განკარგულებაში. ამხ. კარენევი გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალ სესიაზე დასმული იქნება საკითხი საგუბერნიო აპარატების გამარტივების შესახებ.

სრულიად-რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მიიღო პროექტი საფუძვლად და გადასცა ის 19 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელშიაც 17 დელეგატი არის ადგილებიდან.

პროფინტერნის საბჭოში

პირველი ივლისის სხდომა.

ბერლინის შეთანხმების შესახებ.

მოსკოვი. 2 ივნისი. პროფინტერნის საბჭოს პირველი ივლისის საღამოს სხდომაზე ამხ. ლოზოვსკიმ წაიკითხა ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციის გენერალური საბჭოს ორი რეზოლიუცია. რეზოლიუციებში ნათქვამია, რომ ბერლინის შეთანხმება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ ძალაში შევა მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთის კავშირები და აგრეთვე ყველა ორგანიზაციები, რომლებიც პროფინტერნში შედიან, უარს იტყვიან ამსტერდამის ინტერნაციონალთან ბრძოლაზე. ამხ. ლოზოვსკიმ განაცხადა, რომ რეზოლიუციები აუქმებენ შეთანხმებას. რეფორმისტები ამას სჩადიან შეგნებულათ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ერთიანი ფრონტი მათ აღსასრულს ნიშნავს.

პროტესტი.

საბჭომ მიიღო ამხ. ლოზოვსკის წინადადება პროფინტერნის ცენტრალური საბჭოს სახელით, გენერალური საბჭოს მიერ ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონფერენციის დადგენილებების საბოტაჟის წინააღმდეგ.

ჩეხო-სლოვაკეთის საკითხი.

მომხსენებლათ ჩეხო-სლოვაკეთის პროფმოძრაობის შესახებ ცენტრალური საბჭოს კომისიის სახელით გამოდის ამხ. ენდერლე, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიამ შესძლო ჩეხო-სლოვაკეთის მთელი წითელი პროფმოძრაობის გაერთიანება. ამიერიდან ჩეხო-სლოვაკეთის წითელი პროფკავშირები წარმოადგენენ ერთიან ბლოკს რეფორმისტების დაქსაქსული კავშირების წინააღმდეგ.

მორიგი საკითხები.

ამის შემდეგ მოსმენილი იქნა ამერიკული სექციის მოხსენება ურთიერთობის შესახებ კანადის პროფმოძრაობასა და შეერთებული შტატების კავშირებს შორის და აგრეთვე—მოხსენება კომისიისა ახალგაზრდობის შორის მუშაობის შესახებ.

პირველი მოხსენების განხილვა გადაიდო პროფინტერნის მესამე კონგრესისათვის, მეორესი კი—საბჭოს შემდეგი სხდომისათვის.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოს სხდომას ესწრება გადამწყვეტი ხმით 52 დელეგატი, სათათბირო ხმით - 51 და 22 სტუმარი.

უკანასკნელი სხდომა.

მოსკოვი, 3 ივლისი. 2 ივლისს დაიხურა პროფინტერნის საბჭოს სხდომები. საბჭომ მოიწონა აღმასრულებელი ბიუროს ყველა ზომები ერთიანი ფრონტის ცხოვრებაში გასატარებლად და აგრეთვე აღიარა, რომ რუსეთის კავშირების ხაზი ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონფერენციის და ლითონზე მომუშავეთა კონფერენციის (ფრიდრიხსგაფენში) მიმართ სწორი იყო.

საბჭო პროფინტერნის უმნიშვნელოვანეს ამოცანათ თვლის ბრძოლას ახალი ომის საფრთხესთან და საერთაშორისო ფაშიზმთან; საბჭო მიაქცევს პროფინტერნის ყველა სექციების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მთელი რიგი წინა კონგრესების დადგენილებებისა ცხოვრებაში ჯერაც არ გატარებულა. საბჭო ავალებს აღმასრულებელ ბიუროს განაგრძოს თანამშრომლობა კომინტერნთან კაპიტალის წინააღმდეგ ყოველგვარი შეტევითი თუ თავდაცვითი მოქმედებების დროს.

გაფიცვის სტრატეგია.

საგაფიცვო სტრატეგიის შესახებ საბჭო ავალებს აღმასრულებელ ბიუროს დაამუშავოს ეს საკითხი პროფინტერნის მესამე კონგრესისათვის. ბიუროს მიეცა სახელმძღვანელო დირექტივები. საგაფიცვო სტრატეგიის მთავარი დებულებები ასეთი იქნება: წმინდა ეკონომიური გაფიცვები საზარალოა პროლეტარიატისათვის, წარმოშობილი კონფლიქტები გაფართოებული უნდა იქნეს როგორც ტერიტორიალურათ, ისე წარმოების ფარგლების მხრივ; გაფიცვაში მონაწილე ცალკე ჯგუფებმა არ უნდა წამოაყენონ ერთნაირი მოთხოვნილებები.

მოწოდება.

ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა აგრეთვე მიმართოს მთელი ქვეყნის მუშებს მოწოდებით რეფორმისტების მიერ ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონფერენციის დადგენილების ჩაფუშვის გამო. მოწოდებაში ნათქვამია, რომ პროფინტერნი განაგრძობს ბრძოლას ბურჟუაზიასთან კოალიციის და მუშათა რიგებში ნაციონალიზმის წინააღმდეგ. რევოლიუციონური კავშირები წინადადებას აძლევენ რეფორმისტებს შექმნან ერთიანი ფრონტი, მაგრამ არ მოითხოვენ მათგან (გამოტოვებულია) საბჭოს გამოაქვს მუშების სამსჯავროს წინაშე ამსტერდამის ინტერნაციონალის და აგრეთვე ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციის საზიზღარი მოქმედება და მოუწოდებს საერთაშორისო პროლეტარიატს გამოსთქვას პროტესტი ერთიანი ფრონტის საბოტაჟნიკების წინააღმდეგ.

რადიო-დეპეშები

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთი და ვატიკანი.

რომი. 3 ივლისი. **პაპამ გამოაქვეყნა ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას საფრანგეთის პოლიტიკისადმი, რურის საკითხში.** ამ ნოტამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში. წარმოიშვა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობა პარიზსა და ვატიკანს შორის.

შაბათს პაპამ მიიღო საფრანგეთის ელჩი ვატიკანში ჟონნარი, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი, წინააღმდეგ ჩვეულებისა, თავისი მდივნის დაუსწრებლად. ფიქრობენ, რომ პაპა ცდილობს თავიდან აიცილოს ურთიერთობის შეწყვეტა და საზოგადოდ რაიმე სერიოზული დიპლომატიური ინციდენტის წარმოშობა.

იტალია.

უარის თქმა პასპორტების გაცემაზე

რომი. 3 ივლისი. იტალიის მთავრობამ უარი სთქვა პასპორტების მიცემაზე, დეპუტატ მატეოტტისა და გორინოტტისათვის, რომლებიც მიწვეული არიან ინგლისის სოციალისტების მიერ ლონდონში კონფერენციაზე რურის საკითხის განსახილველად

მეგობრობის საფუძველი.

ბერლინი. 3 ივლისი. **ბანკეტზე რომში შეერთებულიშტატების ელჩმა ჩაილდმა განაცხადა, რომ „ფაშიზმი არის საუკეთესო ბაზა იტალიის და ამერიკის მეგობრობისათვის.**

„არავითარი განცხადება".

ლონდონი. 3 ივლისი. დღეს თემთა პალატაში ბალდვინს წინადადება ჰქონდა მიღებული, განცხადება გაეკეთებია გერმანიის ნოტაზე, საჩქაროდ პასუხის გაგზავნის შესაძლებლობის შესახებ. წინადადება დასაბუთებული იყო იმით, რომ პასუხის გადადებას შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს იმის გამო, რომ გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უარესდება. ბალდვინმა უპასუხა, რომ ამ ჟამად მას არავითარი განცხადების გაკეთება არ შეუძლია. ბრიტანეთის მთავრობას, განაცხადა მან, ესმის მდგომარეობის სირთულე და ის ყოველგვარ ზომებს მიიღებს საკითხის გადაჭრის დასაჩქარებლად.

სიტყვიერი მოლაპარაკება.

ბერლინი. 3 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობებით, საფრანგეთის ელჩმა ლონდონში სენტ-ოლერმა მიიღო ინსტრუქციები ლონდონთან სიტყვიერი მოლაპარაკების საწარმოებლად, საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

„ყველაზე უფრო კრიტიკული მომენტი".

ბერლინი. 3 ივლისი. „ტაიმსი" ამბობს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ურთიერთ შორის დამოკიდებულებაში დადგა ყველაზე უფრო კრიტიკული მომენტი ამ კვირაში ამბების განვითარებისაგან არის დამოკიდებული ორივე მხარეების მეგობრობა.

რურის ოლქის ოკუპაცია

ოკუპაცია ფართოვდება.

ბერლინი. 3 ივლისი. საფრანგეთის ხელისუფლებამ ოკუპაციის რაიონი გააფართოვა შვეტსა, ვესტგაფენსა და შაგენზე

კრუპის წარმოებები, სახელდობრ სადნობი ელექტროსადგური, რკინის ჩამომსხმელი და რკინის გზის მანქანების განყოფილებები და ვაგონების სახელოსნოები დაჭერილია საფრანგეთის ჯარების მიერ მრავალ მუშას, ამის გამო, არ შეეძლო მუშაობის დაწყება.

რური—ციხეა.

ბერლინი. 3 ივლისი. მადრიდის ერთ-ერთ გაზეთის კორესპონდენტი, რომელმაც ინახულა რური, სწერს, რომ ოკუპაცია ქმნილ რაიონში შესვლის დროს მას ეგონა, რომ ის ციხეში მოხვდა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რურში ცხოვრების პირობები, სრულებით არ ეთანხმება თანამედროვე გაგებას თავისუფლების შესახებ, მცხოვრებთა ერთმანეთთან მიმოსვლის საშუალებები კი საშუალო საუკუნოებს მოგვაგონებენ. საფრანგეთის მაროკკოს ჯარები საშინელ მხეცურ ექსცესებს სჩადიან და შიშის ზარს სცემენ ბავშვებსა და ქალებს.

პუანკარეს სიტყვა

პარიზი. 1 ივლისი. რურის სესხის საკითხის განხილვის დროს, პუანკარემ სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის პოლიტიკის დასაცავად რურის საკითხში და ხაზი გაუსვა რომ რურის დაპყრობას იმპერიალისტური მიზნები არა აქვსო, რური საფრანგეთს იმ დრომდე ეჭირება, სანამ გერმანია ვალებს არ გადაიხდისო. როდესაც საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას პრემიერის განმარტება რურის საკითხის შესახებ მოსწონს, მაშინ, **ერთხმად მიიღეს 807 მილიონი ფრანკის სესხი.**

საფრანგეთის პასუხი

პარიზი. 1 ივლ. პარიზის გაზეთების ცნობით, საფრანგეთის მთავრობა 2 ივლისს გასცემს პასუხს ინგლისის შეკითხვაზე სარეპარაციო საკითხის გამო.

წასვლა აუკრძალეს

რომი 1 ივლ. იტალიის მთავრობამ უარი უთხრა პასპორტების მიცემაზე ორ დეპუტატ-სოციალისტს, რომლებიც ლონდონში აპირებდნენ წასვლას რურის საკითხის გამო მოწვეულ საპარლამენტო სოციალისტურ ფრაქციების საერთაშორისო კონფერენციაზე.

ინგლისის ახალი ნოტა

ლონდონი. 1 ივლ. „დეილი-მეილის" ცნობით, ინგლისის მთავრობამ ახალი ნოტით მიჰმართა ბელგიის მთავრობას სარეპარაციო საკითხის შესახებ. გაზეთების აზრით, თუ ბალდვინს გაუძნელდება საფრანგეთთან ერთათ მოქმედება, მაშინ ის სეპარატიულათ შეუთანხმდება გერმანიას, რათა უზრუნველჰყოს ინგლისის მიერ გერმანიისაგან კუთვნილი ვალის განაღდება და ამით გაისტუმროს შეერთებული შტატებისაგან აღებული ვალისა. ჰფიქრობენ, რომ გერმანია სიამოვნებით შეხვდება ასეთ შეთანხმებას. **თუ ბალდვინმა ვერ შესძლო საფრანგეთის დარწმუნება რურის პოლიტიკის შესაცვლელად, მაშინ ინგლისი და შეერთებული შტატები გაერთიანებული ძალით მოახდენენ საფრანგეთზე გავლენას და მოსთხოვენ ვალების განაღდებას.**

ლოზანას კონფერენცია

ისმეტ-ფაშას ნოტა

პარიზი 2 ივლ. ისმეტ-ფაშამ კონფერენციას მიჰმართა ნოტით, რომელშიაც იგი თხოულობს, რათა ერთ სხდომაზე განიხილონ საკითხები სტამბოლის ევაკუაციისა, კუპონებისა და კონცესიებისა.

მოკავშირეთა შორის

პარიზი. 2 ივლ. თათბირი მოხდა გენერალ პელეს, რუმბოლდის და მონტენიოს შორის. **ინგლისის ინსტრუქციებს დღეს საღამოს მოელიან.** კონფერენციის პლენუმის სხდომა გაიმართება სამშაბათს. აღრიცხული იქნება სამივე კომისიაში მიღწეული შეთანხმებანი. **საფრანგეთის დელეგატს გენერალ პელეს თათბირი ჰქონდა ბულგარეთის დელეგატთან და ათონიდან ჩამოსულ ალექსანდრისთან.**

ორი ლოზანას შემდეგ

ანგორა. 1 ივლ. „ენი გიუნ" სწერს: **„ორი ლოზანას შემდეგაც ომისა თუ მშვიდობიანობის საკითხი გადაუჭრელი დარჩა.** თუ მშვიდობიანობას ვერ ვეღირსეთ, ამისი ბრალი დაედებათ ევროპის დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც ორიოდე კაპიტალისტის ინტერესებს იცავენ, ჩვენ მზათა ვართ ვიომოთ კუპონების საკითხის გამო. რუსეთის ბოლშევიკები უაღრესათ მართალნი არიან, როდესაც უარს აცხადებენ ევროპის ვალების განაღდებაზე. მოთმინების ძაფი ჩვენც გვიწყდება.

საფრანგეთის დელეგატთა ინსტრუქციები

ლონდონი. 1 ივლ. ლოზანადან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის დელეგატებმა თავისი მთავრობისაგან მიწერილობა მიიღეს, რათა სტამბოლიდან ჯარები არ გამოიყვანონ, ვიდრე არ მოწესრიგდება კონცესიებისა და ოსმალეთის ვალების საკითხი.

საბერძნეთის გემები

ლონდონი. 1 ივლ. ოსმალეთის მთავრობამ აცნობა მოკავშირეებს, რომ ოსმალეთი დაატყვევებს საბერძნეთის ყველა გემებს, რომლებიც კი სტამბოლში მოვლენ.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები.

ანგორა. 1 ივლისი. მეორე ჯგუფმა ტრაპიზონში დაადგინა თავი შეიკავოს არჩევნებში მონაწილეობისაგან. ტრაპიზონის განაპირა რაიონებში ირჩევენ ქემალისტებს.

ჩესტერის კონცესიების მარცხის გამო.

ანგორა. 1 ივლისი. ეკონომიის კომისარმა განუცხადა „ხაკიმიეტ მილიე"-ს კორესპონდენტს, რომ რადგანაც კენნედიმ არ წარმოადგინა დანიშნულ ვადამდე შეპირებული სასოფლო სამეურნეო მანქანები და არ ააგო 5 სახელოსნო, კომისარიატმა განაცხადა პროტესტი და გამოიყენა თავისი უფლება საკონცესიო ხელშეკრულების გასაუქმებლად.

სირიაში აჯანყება ფართოვდება.

ანგორა. 1 ივლისი. ადანის გაზეთების ცნობით, ალეპპოს რაიონში ვრცელდება აჯანყება ფრანგების წინააღმდეგ. **ფრანგები აწყობენ ადგილობრივ არა-მუსულმან მცხოვრებლებიდან ტერორისტულ რაზმებს ოსმალეთის მოღვაწეების მოსაკლავად**

რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა.

ანგორა. 1 ივლისი. ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისარიატის მოთათბირე სუადმა „ენი ტურკია"-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ **ამ დღეებში განახლდა რუსეთთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულობისა და საკონსულო კონვენციის შესახებ.** გულითადი მეგობრობის საფუძველზე განახლდება ეკონომიური ურთიერთობაც. ოსმალეთის მთავრობა და საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. სურიცი ურთ-ერთის ნდობითა და პატივისცემით მოქმედებენ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ წვრილმანი გაუგებრობანი თავიდან იქნება აცილებული.

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

აგრარული საკითხი.

ლონდონი. 1 ივლისი. მუშათა პარტიის უკანასკნელ სხდომაზე ერთ-ერთმა დელეგატმა შემოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა მიწის სოციალიზაციას მუშათა პარტიის წინა კონფერენციაზე მიღებული პროექტის მიხედვით. სათანადო პროგრამა არ გამოუმუშავებია პარტიის აღმასკომს ისე, რომ პარტიას დღემდი არა აქვს აგრარული პროგრამა. მაკდონალდმა განაცხადა, რომ პარტიის აგრარული კომისია ამუშავებს ამ საკითხსო. დელეგატმა კარმაიკელმა პროტესტი განაცხადა და სთქვა, რომ აღმასკომის მიერ აგრარული საკითხისადმი დამოკიდებულების გამორკვევაზე უარის თქმა უდიდესი სირცხვილი არის პარტიისათვის. კენჭის ყრის დროს დამოუკიდებელი მუშათა პარტიის რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ პარტიის მთავარი მიზანია კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურით შეცვლა, ერთხმად იქნა მიღებული.

კოლონიების ექსპლოატაციის საკითხი.

დელეგატმა ბარროუმ შემოიტანა წინადადება ბრიტანეთის მთავრობის მიერ დაპყრობილი ერების დევნა-შევიწროების გამოსარკვევად სპეციალური კომისიის არჩევის შესახებ. ბარროუმ მოითხოვა დაუყოვნებლივ გამოსვლა ამ საკითხის შესახებ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშების მხრივ.

მაკდონალდმა გაილაშქრა ბარროუს წინადადების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მუშათა პარტია მუდამ იცავდა დაჩაგრულ ერებს.

ჯარის საკითხი.

სოციალ-დემოკრატებმა შემოიტანეს წინადადება ჯარში და ფლოტში კლასიური კანტროლის მოსპობის და ჯარის დემოკრატიული მილიციით შეცვლის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნით. რეზოლიუციის წინააღმდეგ გაილაშქრა დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ იმ მოსაზრებით, რომ სოციალ-დემოკრატების რეზოლიუცია გულისხმობს საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღებას, დ. მ. პ. კი ამის წინააღმდეგია.

კონფერენციის დახურვა.

კონფერენციამ უარი სთქვა უმუშევართა დელეგატების მოსმენაზე. კონფერენცია ისე დაიხურა, რომ მუშათა ოფიციალური ჰიმნებიც კი არ შეუსრულებიათ. მხოლოდ დელეგატების ნაწილმა იმღერა რევოლიუციონური ჰიმნი.

გერმანიის ამბები

გერმანიის მუშათა შორის.

ბერლინი. 1 ივლისი, ხის დამმუშავებელთა კავშირის გაფიცულ მუშათა კრებაზე, დამქირავებელთა წინადადება ხელფასის მომატების შესახებ, უარყოფილ იქნა. მელითონეთა ადგილობრივ პროფკავშირის სხდომაზე, გამოტანილ იქნა დადგენილება მოითხოვონ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებისაგან ყველა პროლეტარულ, პარტიულ და პროფკავშირთა ორგანიზაციების მოწვევა, ერთიანი ბრძოლის ფრონტის საკითხის განსახილველად. ბრძოლის საბოლოვო მიზანია ხელფასის მომატება ომამდე არსებულ ნორმის მიხედვით, კუნოს მთავრობის ჩამოგდება და მუშათა მთავრობის შედგენა

შტეტინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენუმში მიღებულ იქნა კომუნისტების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია ომამდე არსებულ ნორმამდე ხელფასის გადიდების შესახებ. სოციალ-დემოკრატების წინადადება ხელფასის მომატების შესახებ საქონლის ინდექსის მიხედვით, უარყოფილ იქნა.

ავსტრიის პროფკავშირების კონგრესი

ვენა. 1 ივლისი. ავსტრიის პროფკავშირთა კონგრესზე რენერმა თავის მოხსენებაში ავსტრიის ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ აღნიშნა, რომ ავსტრია განაგრძობს სვლას წარმოების შემცირების, მოხმარების შეზღუდვის და მცხოვრებთა სრული გაღატაკების გზით. **ქვეყნის მორჩენებითი გაჯანსაღება—თავის მოტყუილებაა, რომლითაც ბურჟუაზია აბრმავებს პროლეტარიატს** უწევს რა მხოლოდ ანგარიშს ბურჟუაზიის კლასიურ ინტერესებს, ავსტრიის გაჯანსაღების გეგმა უცხოეთის კაპიტალის ხელში აგდებს ავსტრიის სახალხო მეურნეობას.

საბჭოთა რუსეთთან რეგულიარულ სავაჭრო ურთიერთობის განახლების საკითხის განხილვის დროს, რენერმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობასთან დადებულია არა რუსეთისადმი სიმპატიის გრძნობით, რაც არ შეიძლება დავსწამოთ ავსტრიის სოციალ-დემოკრატებსო.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატების პროფკავშირის კომისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ კომისიამ ყოველგვარი ზომები მიიღო უმუშევართა საკითხის გადასაწყვეტათო. საბჭოთა რუსეთსა და კომპარტიასთან დამოკიდებულების შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი.

რუსეთი და სპარსეთი

ამხ. მალიშევი თეირანში.

თეირანი. 1 ივლისი. თეირანში ჩავიდა ამხ. მალიშევი, რომელმაც ინახულა ამხ. შუმიაცკი, სპარსეთის პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი და გერმანიისა და ოსმალეთის ელჩები. რაუტს, რომელიც გაიმართა ამხ. მალიშევის საპატივსაცემოდ, დაესწრენ სპარსეთის პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სავაჭრო პალატის თავმჯდომარე და წევრები, კომერსანტები და გაზეთების წარმომადგენლები. ამხ. მალიშევი მიესალმა სპარსეთის ვაჭრებს, მიიპატიჟა ისინი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, და მიუთითა იმ შეღავათებზე, რომელიც მიანიჭა სპარსეთის ვაჭრებს საბჭოთა მთავრობამ. სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მალიშევს და განაცხადა, რომ ბაზრობა უფრო შეუწყობს ხელს რუსეთ სპარსეთის დაახლოებას.

ამხ. შუმიაცკიმ საბჭოთა მთავრობის სახელით დაადასტურა სპარსეთის ვაჭრების მიპატიჟება ბაზრობაზე და უარყო ხმები ბაქოში 5 სპარსელი ვაჭარის დახვრეტის შესახებ. ეს ხმები არის ახალი პროვოკაცია საბჭოთა რუსეთსა და სპარსეთს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩასაშლელად.

1 ივლისს შესდგა სპარსეთის ვაჭრობის სამინისტროს უმაღლესი სავაჭრო საბჭოს შეერთებული სხდომა, რომელსაც დაესწრენ ამხ. შუმიაცკი და მალიშევი, აგრეთვე სპარსეთის საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლები. სხდომამ განიხილა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობასთან დაკავშირებული საკითხები. სპარსეთის მთავრობამ სასურველად აღიარა 1901 წ. ტარიფების დატოვება. ამხ. შუმიაცკიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ესალმება ამ წინადადებას და მიიღებს მას ცნობად.

სხვადასხვა ამბები

რუმინია და სამხრეთ სლავია.

ვენა. 1 ივლისი. ბულგარეთში მომხდარ გადატრიალების გამო მოხდა სერიოზული კონფლიქტი რუმინსა და სამხრეთ სლავიას შორის. რუმინიამ იცნო ბულგარეთის ახალი მთავრობა და უარი სთქვა სამხრეთ სლავიის წინააღმდეგ გაერთიანებულ მოქმედების შესახება სამხრეთ-სლავიის პრესა განაგრძობს კამპანიას რუმინიის

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43,**

ივლისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.800.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.300.000
ერთი ეგზემპლიარი	75.000
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ზე თვიური ფასი შინ მიტანით . . .	500 000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივლისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 6—6

წინააღმდეგ; დემოკრატები დაჟინებით მოითხოვდენ რუსეთის ორიენტაციას. რუმინიის პრესა აღნიშნავს რა, რომ ბალკანეთის საკითხში სამხრეთ-სლავია დამოუკიდებლად მოქმედებსო, აცხადებს, რომ ვარშავიდან მეფის დაბრუნების შემდეგ, რუმინია განმარტებას მოსთხოვს სამხრეთ სლავიას. შესაძლებელია რუმინიის ეს ნაბიჯი გადაიქცეს გადამწყვეტ ფაქტორად ორივე სახელმწიფოს ურთიერთშორის საკითხში.

უთანხმოება რუსეთთან.

ვენა. 1 ივლისი. რუმინიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ განახლებულია საფოსტო ურთიერთობა რუსეთთან გერმანიისა და პოლონეთის ტერიტორიით.

შვეცია.

შვეციის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობა.

სტოკჰოლმი. 1 ივლისი. შვეციის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობაზე ერთხმად მიღებული იქნა რეზოლიუცია ახალგაზრდების კომინტერნის დადგენილებათა აბსოლიუტურად გაზიარების შესახებ.

„ჩიკაგო ტრიბუნ“-ი რუსეთის შესახებ.

სტოკჰოლმი. 1 აგვისტო. „ჩიკაგო ტრიბუნის“ თანამშრომელმა სელდესმა, რომელიც რუსეთიდან სტოკჰოლმში ჩამოვიდა, გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიური აღდგენა სწრაფი ნაბიჯით ვითარდებაო. სელდესი აღიარებს, რომ საბჭოთა რუსეთი ძლიერია—მას ყავს საუცხოვო ჯარი, კომუნისტური სულით გაჟღენთილი, რუსეთს ყავს გამოჩენილი სახალხო კომისრები. სელდესი ლენინს მეოცე საუკუნის უდიდეს გენიათ სთვლის და აღნიშნავს, რომ მისი ავტორიტეტი დიდი არისო. სელდესმა სთქვა, რომ სავაჭრო კავშირი რუსეთთან ძალიან სასარგებლო იქნება ყველა სახელმწიფოებისათვისო.

ფინეთი.

პროტესტი.

ჰელსინგფორსი, 1 ივლისი. რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფინეთში ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა საპროტესტო ნოტა რუსეთის კონსულის კარელიის ლტოლვილების საკონცენტრაციო ბანაკში არ დაშვების გამო.

გერმანია.

სოციალისტებისა და ნაციონალისტების შეტაკება.

პარიზი 2 აგვისტო. ლიუბეკში შეტაკება მოხდა სოციალისტებსა და ნაციონალისტებს შორის. არის დაჭრილებიც.

ბულგარეთი.

პარიზი. 29 ივლისი. სოფიიდან მიღებული ცნობებით, **ბულგარეთის რეგულიარული ჯარი შეიჭრა საბერძნეთის ტერიტორიაზე** ბულგარეთის ახალმა მთავრობამ განკარგულება გასცა, რათა მყისვე ალაგმონ ბულგარეთში შემოსევის განზრახვანი ბულგარეთის მეზობლად მდებარე ქვეყნებიდან.

ავსტრია

არჩევნები ნაციონალურ კრებაში.

ვენა. 1 ივლისი. ოქტომბერში დანიშნულ ნაციონალურ კრების არჩევნების გამო, ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიასთან კოალიციას. კოალიციამ შეიმუშავა არჩევნების ისეთი წესები, რომლის მიხედვით პატარა პარტიები არ იქნებიან წარმოდგენილი პარლამენტში, თუ სხვა და სხვა ოლქებში არ შეჰკრებენ საჭირო ხმების რაოდენობას. აქ ჩანს ტენდენცია, არ დაუშვან ნაციონალურ კრებაში კომუნისტები, რომელთა წინააღმდეგ სწარმოებს ბრძოლა სოციალ-დემოკრატების უახლოესი მონაწილეობით.

წითელი რესპუბლიკები.

რუსეთი.

საქონლის ბირჟის გახსნა.

ვლადივოსტოკი. 1 ივლისი. ვლადივოსტოკში დიდის ზეიმით გაიხსნა საქონლის ბირჟა.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი.

პოკროვსკი. 1 ივლისი. გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტთა საოლქო ყრილობაზე გამოირკვა, რომ 300 კომიტეტს დაუთესია 5.300 დესეტინა. ივნისის ანგარიშიდან ჩანს, რომ გერმანელთა კომუნაში დამშეულია 172000 კაცი, რაც შეადგენს მოსახლეობის 30 პროც.-ს.

თეთრგვარდიელთა არქივიდან-

კიევი. 1 ივლისი. კრასნოდარში აღმოაჩინეს დენიკინის საგანგებო საბჭოს დოკუმენტები, სხვათა შორის გეგმა წითელ არმიის დასამარცხებლად და სხვა ყურადღების ღირსი ისტორიული დოკუმენტები.

გერმანელი მუშები რუსეთში

ოდესა. 1 ივლისი. სატრანსპორტო მუშათა კომიტეტს ბევრი წერილები მოსდის გერმანელ მუშებისაგან, რომლებიც სურვილს გამოსთქვამენ ოდესაში ჩამოსვლისას. რკინისგზელთა საერთო კრებამ დადგენილება გამოიტანა, რომ ოდესის მუშები სიამოვნებით მიიღებენ თავის წრეში გერმანელ მუშებს.

ბამბის დათესვა.

ტაშკენტი. 1 ივნისი. მიმდინარე წლის განმავლობაში თურქესტანის მხარეში დაუთესიათ 150,000 დესეტინა ბამბა, მაშინ, როდესაც შარშან მხოლოდ 51000 იყო დათესილი. მომავალი წლისათვის განზრახულია დაითესოს 320 000 დესეტინა.

კურსკის მაგნიტის ანომალია

მოსკოვი. 1 ივლისი. კურსკის მაგნიტის ანომალიის ადგილობრივ გამიჯვნის შემდეგ მოსკოვში დაბრუნებულმა, გამიჯვნისათვის წარმოებულ სამუშაოებების უფროსმა, მთავარ ინჟენერმა გიმმელფარბმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კურსკის გუბერნიაში ახლად აღმოჩენილ რკინის მადანის ადგილმდებარეობის გაშინჯვის მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებს სამ შეცვლიანი სისტემის საშუალებით, უქმე და კვირა დღეების გამოუკლებლად. მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით მუშების რიცხვი გადიდებულია სამჯერ. ყველა სამუშაოები განათებულია ელექტრონის საშუალებით და შეერთებულია ტელეფონის ქსელით. ორი-სამი თვის შემდეგ უნდა გამოირკვეს მუშაობის შედეგები. ამ ჟამად ეწყობა სეისმოგრაფიული ჯგუფები, რომელნიც რამოდენიმე კვირის შემდეგ გაემგზავრებიან დაზვერვის ადგილზე ამ ჯგუფების უმთავრესი ამოცანა არის ხელოვნური მიწის-ძვრის გამოწვევა, აფეთქების საშუალებით, იმ მიზნით, რომ გამოირკვეს მიწაში მდებარე ფენების სიმკვრივე და მადანის მდებარეობის სიღრმე და საზღვრები. „ამ რიგად, დაამთავრა ინჟენერმა გიმმელფარბმა, კურსკის ანომალიის გამოსარკვევი სამუშაოებები მომზადებულია ყოველის მიმართულებით და ტარდება მაქსიმალური ინტენსივობით“.

უკრაინა.

სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის სესია.

ხარკოვი. 2 ივნისი. სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის მესამე სესიაზე, მოსმენილ იქნა ამხ. რაკოვსკის მოხსენება ს. ს. რ. კავშირის დაარსების შესახებ. რაკოვსკიმ აღნიშნა კავშირის ეკონომიური უპირატესობა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონსტიტუცია ფართო ასპარეზს იტოვებს ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოსაჩენად. კონსტიტუციის პროექტი ერთხმად იქნა მიღებული.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვა ზემო-სილეზიაში.

ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო რურის გაფიცვა, როდესაც ზემო-სილეზიაში წარმოიშვა მოძრაობა სამუშაო ხელფასისათვის ბრძოლის ნიადაგზე

ეს გაფიცვა გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ სამთო და ლითონის სამრეწველოების მეპატრონეებმა უარი სთქვეს სამუშაო ხელფასის მომატებაზე, სიძვირის ზრდასთან შეფარდებით. ამის გამო ბოიტენის რაიონში გაიფიცა 35,000 სამთო-მადნო მუშა, მას შეურთდა გინდენბურგის რაიონების მეღითონეებიდან და სამთო-მადნო მუშებიდან 25,000 კაცი და გლაივიცის რაიონიდან 35,000 მუშა. ზემო-სილეზიაში გაფიცული იყო ამ რაიონის ყველა მუშების დაახლოვებით 80 პროცენტი.

გაფიცულებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილებები: სამუშაო ხელფასის გადიდება აპრილში და მაისში სიძვირის ზრდის გამო, ერთდროული დახმარების მიცემა ცოლშვილიანებისათვის 300,000 მარკის, ხოლო უცოლოებისათვის 200,000 მარკის რაოდენობით და სამუშაო ხელფასის გადიდება 100 პროცენტით.

გაფიცვის ჩაშლის მიზნით რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერებმა მოიწვიეს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია გლაივიცში. მაგრამ კონფერენციაზე გამოაშკარავდა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების ოპოზიციონური განწყობილება და რეფორმისტების ცდამ საწინააღმდეგო შედეგები მოიტანა მათთვის.

შემდეგში კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: 1) პროფკავშირების პოლიტიკა მათი ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გამო ანგრევს კავშირებს, 2) ამის გამო ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა უნდა აწარმოვონ ბრძოლა დამოუკიდებლად, პროფკავშირების საბოტაჟის მიუხედავად, 3) მხოლოდ პროლეტარიატის ერთიანი ფრონტით შეიძლება ამ ჟამად წინააღმდეგობის გაწევა ბურჟუაზიის შემოტევისათვის.

დასასრულ, რეზოლიუცია მოითხოვს გაფიცვის გაგრძელებას, სრულ გამარჯვებამდე.

გაფიცულებმა გამოუშვეს ხელის მოსაწერი ფურცლები გაფიცულების სასარგებლოდ შემოწირულების შესაგროვებლად.

გაფიცულებთან საბრძოლველად ზემო-სილეზიის ყველა ქალაქებში გაადიდეს პოლიციელების კადრები, რომლებიც ცდილობდენ პროვოკაციის საშუალებით გამოეწვიათ სისხლის მღვრელი შეტაკებანი, საგაფიცვო კომიტეტის მრავალი წევრები იმყოფებოდენ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

აღსანიშნავია, რომ ამ გაფიცვის დროს, ზემო-სილეზიის ფაშისტები უღონო აღმოჩნდენ.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სრულიად—გერმანიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მიმართავს გერმანიის ყველა მუშებს, რათა აღმოუჩინონ მატერიალური და მორალური დახმარება გაფიცულ მუშებს ზემო-სილეზიაში.

ჩქარა გამოირკვა, რომ რეფორმისტულმა კავშირებმა შესძლეს გაფიცვის ჩაშლა,—მათ გამოუშვეს აუარება პროკლამაციები, რომლებშიაც მოითხოვდენ გაფიცვის შეწყვეტას და ამით ჩააქვრეს მუშებში ბრძოლის სურვილი. ამავე დროს მთავრობის კომისარმა განაცხადა, რომ ის არავითარ რეპრესიებს არ დაერიდება, რათა ჩააქროს ეს მოძრაობა.

ზემო-სილეზიაში შეიქმნა სოციალ-დემოკრატების, პროფკავშირების რეფორმისტული ხელმძღვანელების, მწარმოებლების და მთავრობის ერთიანი ფრონტი გაფიცულების წინააღმდეგ.

ამიტომ ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა დაადგინა: შეწყვეტილი ყოფილიყო ბრძოლა, რადგანაც პოლიციელების და ფაშისტების პროვოკაციული გამოსვლები, აუცილებლად გამოიწვევდა სისხლის ღვრელ შეტაკებას და მოუწოდა მუშებს დაეწყოთ მუშაობა.

ეს იყო პირველი გაფიცვა, რომელიც გატარებულ იქნა სავსებით ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მიერ.

„ხალ. მ. მოძ.“

უცხოეთის ცხოვრება

იარაღს აჟღარუნებენ.

ეხება რა ცნობას სირიის საზღვარზე გართულებულ მდგომარეობის შესახებ, გაზ. „ტანი“ სწერს: „თუ ოდესმე სირიაში საფრანგეთისათვის რაიმე საფრთხე იქნება მოსალოდნელი, საფრანგეთი აიძულებს თავის მოწინააღმდეგეთ მოინანიონ ომში გამოწოდებისათვის.

ვენიზელოსი ამნისტიის წინააღმდეგია.

„ჟორნალე დ'იტალიას“-სიტყვით, ვენიზელოსმა გაილაშქრა სამხედრო პირებზე ამნისტიის გავრცელების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ საბერძნეთს არ შეუძლია დაუსჯელათ დასტოვოს ოფიცრები, რომელნიც დამნაშავენი არიან მცირე აზიაში მომხდარ ამბებში. თუ მოკავშირეები დაჟინებით მოითხოვენ, მაშინ ვენიზელოსი ურჩევს მთავრობას მიიღოს ხელშეკრულება მთლიანად, მაგრამ თვითონ ხელს არ მოაწერს არც ხელშეკრულებას და არც დეკლარაციას ამნისტიის შესახებ.

კამპანია რადიკალების წინააღმდეგ სამხრეთ სლავიაში.

„ჟორნალე დ'იტალიას“ ცნობით სამხრეთ სლავიის მეფის ალექსანდრეს მიერ განზრახული გამგზავრება პარიზში გადადებულია სერიოზულ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა დღევანდელ პრემიერის პაშიჩის მოწინააღმდეგეთა მხრივ ალექსანდრეს წინააღმდეგ გამოსვლებით. ყოფილ მინისტრის პრიბიჩევიჩის ორგანო „იუმი“ სწერს, რომ დროა მეფე განთავისუფლდეს რადიკალების ზეგავლენისაგანო.

სამოქალაქო ომი ირლანდიაში.

ინგლისის გაზეთების ცნობით ირლანდიის მთავრობის და მეამბოხეთა მეთაურის დე-ვალერის შორის მომხდარ მოლაპარაკების უშედეგოთ დამთავრების მიზეზით იყო ის გარემოება, რომ მთავრობამ მიუღებლად მიაჩნია მეამბოხეთა მიერ წარმოდგენილი პირობები.

შეიარაღების გაძლიერება.

იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ სენტ-იაგოში ამას წინად დახურულ პან ამერიკელების კონფერენციაზე ჩილის რესპუბლიკის დელეგატმა შეიარაღების კომისიის მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამერიკის სახელმწიფოები საკმარისად არ არიან შეიარაღებულნი და ამიტომ მათ უნდა მიეცეთ საშუალება გააძლიერონ თავიანთი არმიები საჭიროების და მიხედვით.

არჩევნების წინ შეერთებულ შტატებში.

გაზ. „ნიუ-იორკ-ჰერალდი“ იტყობინება, რომ პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია გაცხოველებულია, ვილსონმა წინადადება მისცა დემოკრატიულ პარტიას რესპუბლიკის პრეზიდენტად დაასახელოს დავით ხაუსტენი, მიწად-მოქმედების ყოფ. მინისტრი, როგორც ყველაზე გავლენიანი ლიდერი პარტიისა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აჭარა.

ნავთის გაზიდვა.

ბათომი. 2 ივლისი. მაისის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურიდან საზღვარ-გარეთ გაუზიდნიათ სულ 404 887 ფუთი ნავთი.

ვაგონებზე გადასახადის გაუქმება.

ბათომი. 2 ივლისი. კომუნალური მეურნეობის კოლეგიამ გააუქმა სავაგონო გადასახადი ბათომში შემოტანილ ხე-ტყის მასალაზე, რადგანაც ასეთი გადასახადი გათვალისწინებული არ იყო ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 2 აპრილის დეკრეტით. ამ საგანზე ყოველგვარი გადასახადი შეჩერებულია.

ჩაის მოსავალი

ჩაქვი 2 ივლისი. ჩაის მოსავლის პირველი რთველი დასრულდა. საშუალოდ დღეში 30,000 გირვანქა ჩაის ფოთოლი იკრიფებოდა. ამ დღეებში დაიწყება მეორე წყება მოსავლის მოკრეფა. ამინდიც ხელს უწყობს.

საპედაგოგიო კურსები.

ბათომი 2 ივლისი. აჭარისტანის საბჭოთა სოც რესპუბლიკის მიერ მოწყობილი საპედაგოგო კურსები 5 ივლისს გაიხსნება. მაზრებიდან ჩამოსულ კურსელებისათვის საერთო საცხოვრებელი ბინა მზადდება.

აზერბეიჯანი.

ბამბის კამპანია.

ბაქო. 2 ივლისი. რუსეთ-აზერბეიჯანის სახელმწიფო მებამბეობის ამხანაგობამ შემდეგს ადგილებში დასთესა ბამბა. პეტროპავლოვსკის რაიონში 2140 დესეტინა, სალიანის რაიონში 2,737 დეს. უჯარის რაიონში—2,496 დეს. ბაქოს რაიონში—2216 დეს. განჯისა—2737 დეს. აქსტაფის 505 დეს. ნახიჩევნის მხარეში—1206 დესეტინა. ამხანაგობას სულ დაუთესია 12940 დესეტინა. ამის გარდა მებამბეობის მთავარ კომიტეტს მუღანლოს საალმშენებლო კომიტეტთან ერთად დაუთესია მუღანლოს რაიონში მტკვარ არხისა და მისი განშტოებათა მიდამოებში 3500 დეს.

მილიციის შემადგენლობის შემოწმება.

ბაქო. 1 ივლისი. აზერბეიჯანის სოც საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატთან დაარსდა ცენტრალური კომისია აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ყასუმოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დავალებული აქვს შეამოწმოს აზერბეიჯანის მილიციის პირადი შემადგენლობა. მილიციას ბრძანება მიეცა, რათა ასეთივე კომისიები შესდგეს აზერბეიჯანის რესპუბლიკის მაზრებშიაც.

სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოზე.

ბაქო 2 ივლისი. ბაქოში დაბრუნდნენ განჯაში მყოფი აზერბეიჯანის პოლიტეხნიკუმის სასოფლო სამეურნეო განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტები. ამ დღეებში ეს სტუდენტები იგზავნებიან ბაქოს მაზრაში პრაქტიკულ მუშაობაზე. იქიდან დაბრუნების შემდეგ ეს სტუდენტები გაიგზავნებიან მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სამოქალაქო კოდექსი.

ბაქო. 2 ივლისი. აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის მე 3 სესიამ განიხილა და დაამტკიცა აზერბეიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი და აგრეთვე დებულება აზერბეიჯანის ნოტარიატისა, რომლებიც უკვე ძალაში შევიდა.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო. 2 ივლ. მარილის სინდიკატის საბაზრო განყოფილებამ მიჰყიდა საქართველოს 49 ვაგონი მარილი, რომელთაგანაც 36 ვაგონი უკვე გაიგზავნა.

ბაზრობის კომიტეტი შეუდგა საბაზრო მუზეუმის შექმნას იმ საქონლის ნიმუშებიდან, რომლებიც ბაზრობაზეა გამოფენილი, თავისი ფასების აღნიშვნით.

ბაზრობის კომიტეტს ბევრი დეპეშები მოსდის როსტოვიდან, სტავროპოლიდან, ხარკოვიდან და სხვა ქალაქებიდან, რომლითაც კომიტეტს სთხოვენ როგორმე ხელი შეუწყოს ბაზრობისათვის გამოგზავნილ საქონლის გადაგზავნას, რადგანაც გზაში ყოფილა დაბანდებული.

რევოლუციის გმირთა ძეგლი განჯაში.

ბაქო. 30 ივნისი. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი იმ ძეგლის პროექტებისა, რომელიც უნდა დაედვას განჯის აჯანყების ჩაქრობის დროს დაღუპულ წითელ არმიის მებრძოლებს.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობა ცეკავშირში.

პარასკევს, 29 ივნისს, 1923 წ. საღამოს შვიდ საათზე, ცეკავშირის შენობაში შესდგა კრება ცეკავშირის კომუჯრედის უპარტიო მუშა-მოსამსახურეებთან ერთად, რომელზედაც დაესწრო 80 კაცამდე. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ვ. კარაპეტოვი მდივნად ვლ. კალანდაძე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გახრწნის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. ცინცაძე, რომელმაც ნათლად დაუსურათა კრებას ერთი მხრივ კომუნისტური პარტიის მიერ აღებული პოლიტიკური ხაზის სისწორე და მეორე მხრივ მენშევიკური პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკა, რომელიც იყო მიმართული მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამხანაგ მომხსენებელმა ვრცლათ აღნიშნა თუ როგორ გაკოტრდა და გაიხრწნა საქართველოს მენშევიკური პარტია, რომელსაც მჭიდრო კავშირი ქონდა და დღესაც აქვს, როგორც ევროპის კონტრ-რევოლიუციასთან, აგრეთვე ჩოლოყაშვილების ბანდასთან.

დასასრულ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ცეკავშირის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. მ. ცინცაძისა, სოციალ - დემოკრატიული პარტიის გახრწნის შესახებ ადგენს:

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, სამი წლის თავის ბატონობის დროს, მშრომელი ხალხის ინტერესებისადმი გამყიდველ პოლიტიკას აწარმოებდა. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ რაიმე ნაბიჯი გადაედგას; პირიქით ის იცავდა და დღესაც იცავს ბურჟუაზიას და მემამულეებს.

მენშევიკურმა პარტიამ აშკარათ უღალატა რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციას. იმ დროს როდესაც დენიკინ-კოლჩაკის ურდოები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდენ რუსეთის პროლეტარიატის და ღარიბეს გლეხკაცობის წინააღმდეგ, მენშევიკური პარტია იმის ნაცვლად, რომ აქტიური წინააღმდეგობა გაეწია კონტრ-რევოლიუციისათვის დაგვერდში ამოდგომოდა მშრომელ ხალხს, გამოყო საბჭოთა რუსეთს და აშკარა წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის პროლეტარიატს და ღარიბეს გლეხკაცობას. მაგრამ მიუხედავათ ამისა რუსეთის სამრეწველო პროლეტარიატმა და ღარიბეს გლეხკაცობამ დაამარცხა არამც თუ რუსეთის კონტრ-რევოლიუცია, არამედ საქართველოს კონტრევოლიუციაც მენშევიკების სახით, რის შემდეგ საქართველოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც არამც თუ მარტო სიტყვით იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, არამედ საქმითაც.

გამოვდივართ რა ამ შეხედულებიდან ჩვენ სრულიად შეგნებულად ვაცხადებთ, რომ ერთად-ერთი დამცველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა, არის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მზადა ვართ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცვათ ყოველგვარ საფრთხისაგან.

გაუმარჯოს საბჭოთა ძალა უფლებას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

ელ.—რ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(3 ივლისი).

ჩერვონცები — — —	13,400
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	14,150
ჩეკები —	12,250
დოლარი ეფექტ. — —	3,200
ჩეკები —	2,900
ოსმ. ლირა ქაღალ. —	2,300
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155

ტფილისის ბაზრის ფასები.

(3 ივლისი)

პური თეთრი გირ.—80—100, პური 2 ხარისხ.—45—50 მ., ფქვილი თეთრი გირ.—100 მ., საპონი როსტოვის—350 მ., საპონი მარმარილოს—300 მ., ერბო—600—800 ათ. გ., ყველი თუშური—400 ათ. მზესუმზირას ზეთი—200 — 220 შაქარი რაფინადი—660, შაქრის ფხვნილი—410—430, ბრინჯი—აგდაშის—120, ლობიო წვანე—100—122 ათ., კომბოსტო—70 ათ.

მუშკოპის ფასები.

(3 ივლისი).

პური თეთრი—60 ათასი, პური 2 ხარისხ.—45, ფქვილი თეთრი—80 ათ. ბრინჯი აგდაშის—120 ათ. საპონი როსტოვის—340 ათ. ლობიო—მწვანე—80 ათ. შაქარი რაფინადი—600 ათ. შაქრის ფხვნილი—380 ათ. კართოფილი ახალი—55 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(3 ივლისი).

გოგირდი, რკინის საგნები, მავთული, ყუბანის ფქვილი, 1. 2. და 3 ხარისხის, ღერღილი, მაკარონი, და ვერმიშელი—1 ხარისხ. ოხრა, ოლიფა, ბარები, სათითები, ჩაი „ინდოეთის ვარდი“, კალა, ერბო, ყველი შვეიცარ. ჩაი ცეილონის, ქვავი, ხორბალი ყუბანის და კიურდამირის, მარილის სინდიკატის პროდუქცია, ნოვოროსიის ცემენტი, სრულიად რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის პროდუქცია, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, მანუფაქტურა რუს. წუმწუმა რუსეთის, ფქვილი ყუბანის 3—ხარისხის.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(3 ივლისს).

ფქვილი უმაღლესი ხარისხის, ნარმა, რკინა ურალის, საღებავი ბაიერის ტყავეულობისათვის, ნაშატირის სპირტი, ოხრა, ცინკი, ულტრამარინი, სოდა კაუსტიკური, თუნუქი თეთრი ინგლის. საპნის სუროგატი, შაბიამანი ინგლის სკიპიდარი, გოგირდი, მუშის ფეხსაცმელი, ტყავი—ნედლი, ბაწარი, მავთული, მინა ფანჯრის, ქვამარილი ნახიჩევანის.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(3 ივლისს)

ადგილობრივი და ყუბანის ხორბლის ფასები მტკიცეა, შაქრის ბაზარზე მტკიცეა, იზრდება ქვამარილის ფასები, ნედლი მასალის ბაზარს გაცხოველება ემჩნევა. დანარჩენ ბაზარზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

ამიერ კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

მატყლის დამზადება.

გეგმის მიხედვით დამზადებული უნდა ყოფილიყო 20 000 ფუთი. ამ ჟამად დამზადებულია 21,000 ფუთამდე. კიდევ განზრახულია 4000 ფუთის დამზადება.

აბრეშუმის პარკის დამზადება.

აბრეშუმის პარკის დამზადება საქართველოში ხდება ცეკავშირის მიერ. აზერბეიჯანში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ დაამზადა დაახლოებით 3000 ფუთი.

ჯაგარის დამზადება.

დღემდე საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში დამზადებულია 1000 ფუთამდე ჯაგარი.

თამბაქო.

სოხუმის რაიონში ამ ჟამად დამზადებულია 10,000 ფუთამდე თამბაქო.

ქარხნის შეკეთება.

ამ კვირაში დამთავრდა განჯის ქარხნის შეკეთება და უკვე შეუდგენ ძირტკბილას დამზადებას.

ახალი ეკონომიური წიგნი.

ახლო მომავალში გამოვა ნ. ნ. ბობიშინის ახალი წიგნი „სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობა და მისი საგარეო ვაჭრობა“. წიგნში მოთავსებულია ყველა მასალები სპარსეთის საგარეო ვაჭრობის შესახებ 1901 წლიდან 1923 წლამდე. ციფრობრივი მასალები სპარსეთის საგარეო ვაჭრობის შესახებ 1914 წლიდან 23 წლამდე—რომელიც ჯერ კიდევ არ ყოფილა გამოქვეყნებული. წიგნი შეიცავს ძლიერ ფართო მასალებს და შესდგება 500 გვერდიდან.

სააქციონერო საზოგადოება ნაწლევების დასამზადებლად.

ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას სააქციონერო საზოგადოება „ზაკუტილ სირიო“ ნაწლევების დასამზადებლად. სააქციონერო საზოგადოებაში შედიან: ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, ამიერ-კავკასიის ცენტროსოიუზი და უკრაინის სააქციონერო საზოგადოება „უტილსირიო“. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი უდრის 150,000 მანეთს ოქროთი.

სახელმწიფო ღვინის ტრესტში

კრახმალის ქარხნის ამუშავების შემფერხებელ მიზეზის გამოსარკვევად დაინიშნა სპეციალური კომისია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სახელმწიფო ღვინის ტრესტის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

— სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, სახელმწიფო ღვინის ტრესტმა აპატია „დასახიჩრებულ მეომართა კავშირს“ ვალი 5,450,000 მან. ხსენებულ კავშირისათვის ქარხანა № 2-დან გაცემულ კონიაკის საფასური.

„არკოს“-ში

— მოელიან ბათომის ნავთსადგურში „სალიარის“ და „ტიურბოს“. მოსვლას 11 ივლისისათვის ნავთის პროდუქტების წასაღებად.

— სწარმოებს მოლაპარაკება ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოსთან ტეხნიკური მასალების მიწოდების საკითხის გადასაწყვეტად.

— „არკოსის“ ბათომის განყოფილება აწარმოებს მოლაპარაკებას ბათომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებასთან უკანასკნელისათვის ტეხნიკურ მოწყობილობის მიწოდების შესახებ აჭარის-წყალზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მოსაწყობად.

— საზოგადოება „ჩემო“-საგან „არკოსმა“ მიიღო წარმომადგენლობა ბელგიაში შავი ქვის გასაყიდად. გატანილ მადნის სანაცვლოდ „არკოსი“ გადაიხდის ნაწილობრივ ფულით [illegible] ხმარების მასალებით და საგნებით.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში

სიმინდის ექსპორტი საზღვარგარეთ.

ა. | წ. 25 ივნისს ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს საფინანსო კომიტეტმა დაადგინა გადასდოს 4.500 ჩერვონეცი ცეკავშირის განკარგულებაში მყოფ სიმინდის საზღვარ-გარეთ გასატანად. როდესაც ეს საკითხი ირჩეოდა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე, ცეკავშირის თავმჯდომარემ ამხანაგ მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ ცეკავშირს აქვს 80.000 ფუთი სიმინდი და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ იქნას გატანილი 50 000 ფუთი მარსელში, სადაც სიმინდი უკვე გაყიდულია ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის მიერ, მაგრამ ოპერაციის დაწყებას ცეკავშირი ფიქრობს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ექსპერტიზა დაამტკიცებს, რომ დამზადილი სიმინდი აკმაყოფილებს საზღვარ-გარეთის ბაზრის მოთხოვნილებებს და საკმაო რაოდენობის ტომრებით დამზადების შემდეგ, სიმინდი გადაგზავნილი იქნება რკინის გზის სადგურიდან ბათომში, სადაც იგი დაიტვირთება გემებზე. ამასთან ერთად ცეკავშირი შუამდგომლობს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა სიმინდის განაღდებისაგან შემოსული ფულით შეიძინოს და შემოიტანოს საქონელი ფულის კურსის განსხვავების კომპენსაციის მიზნით.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს ცეკავშირის გამგეობის პირადი პასუხისმგებლობით გაგზავნოს მარსელში სიმინდის პირველი პარტია 50.000 ფუთი, წინასწარ სიმინდის ექსპერტიზის მოხდენის შემდეგ, 2) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ყველა განყოფილებებს, ადგილებზე და საზღვარგარეთ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ცეკავშირის ორგანოებს სიმინდის საექსპორტო ოპერაციების წარმოების დროს, 3) საჭიროებისდამიხედვით მოვლინებულ იქნეს ცეკავშირის განკარგულებაში, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც კარგად იცნობს უცხოეთის ბაზრის მდგომარეობას სიმინდის ექსპორტში და რეალიზაციაში მონაწილეობის მისაღებად და 4) ნებადართოს ცეკავშირს სიმინდის რეალიზაციის შემდეგ აღებულ ფულით შეიძინოს საზღვარ-გარეთ საქონელი ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სიის მიხედვით.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის ამიერ-კავკასიის განყოფილება თბილისში.

ამხ. გრიგორიანის მოხსენების თანახმად, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა სასურველად სცნოს ამიერ-კავკასიის მასშტაბში მოეწყოს რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის განყოფილება; დაევალოს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას ამხ. გაჯინსკის ხელმძღვანელობით შეუდგეს წინასწარ მუშაობას.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობა ნიჟეგოროდის ბაზრობაში 1923 წელს.

ამხ. ფირალოვის მოხსენების თანახმად ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დაევალოს ბაზრობის განყოფილებას, მიიღოს სასწრაფო ზომები სპარსეთის ბაზრისათვის ფართო ინფორმაციის მისაწოდებლად მომავალ ბაზრობის შესახებ. მოწესრიგებულ იქნეს ბაზრობაში მონაწილეობის საქმე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მხრივ; დანარჩენში ყოველგვარი მუშაობა დაევალოს სათანადო ორგანოებს; ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მიიღოს მონაწილეობა ამ მუშაობაში წარმომადგენლობის სახით.

ს. მ. უ. საბჭოში

გეოლოგიური მასალების გამოცემა. ვინაიდან გეოლოგიური წიგნები ძლიერ ნაკლებათ მოიპოვება და მოთხოვნილება კი დიდია, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა გამოსცეს სამთო განყოფილების შემდეგი მასალები:

1. ტყიბულის შავი ქვის ბუდობის გამოკვლევების ანგარიშით, ერთი გეოლოგიური რუკა სხვა და სხვა რუკებით და ნახატებით.
2. თებერვლის 20 1920 წლის მიწისძვრის გეოლოგიური კომისიის ანგარიში, ორი რუკით და ლიტოგრაფიული საშუალებით შესრულებული გეოლოგიური ხაზებით.
3. კავკასიის მადნეულობა და მინერალური წყლები ნაწ. 2.
4. გეოლოგიური გამოკვლევანი სვანეთის და რაჭის მაზრებისა.

ბადიაურის წისქვილის წყლის ენერგიაზე გადაყვანა. ბადიაურის წისქვილი, რომელიც იმყოფება ს. მ. უ. ს. საალმშენებლო განყოფ. განკარგულებაში, მდებარეობს გარე კახეთში პურით მდიდარ რაიონში. შენობა წარმოადგენს დიდ სამ სართულიან აგურის სახლს, რკინით გადახურულს წისქვილთან აშენებულია ორი ხის სახლი მუშებისთვის და მოსამსახურეებისთვის, ორი ხისვე საწყობი მასალებისთვის და ერთი ბოსელი.

წისქვილი არის მოწყობილი ოთხი საფქვავი ქვით, რომელიც ტრიალებს 60 ძალიანი ნავთის მოტორით „ატლასი“-ს სისტემის.

იქვე მოწყობილია დინამო მანქანა 105 ამპ. და 110 ვოლტის შენობების ელექტრონით განათებისათვის.

ასე მშვენიერათ მოწყობილი წისქვილი მუშაობდა იანვრის 1923 წლამდე, სანამდის სათბობი მასალის ფასი არ გადიდდა და წისქვილის მუშაობა სათბობ მასალაზე არ შეიქმნა არამც თუ სასარგებლო, არამედ მეტად საზარალო.

ამისათვის წისქვილის მუშაობა შესწყდა ა. | წ. იანვარში და პურით მდიდარი მხარე დარჩა უწისქვილოთ.

საჭიროა ითქვას აქ რომ ბადიაურის წისქვილი უპირველესად შენდებოდა წყლის ენერგიისათვის.

იქვე არის ძველი წყლის არხი, რომელიც გამოდის მდინარე იორიდან წისქვილისკენ 4 ნახევარი ვერსის მანძილზედ და წისქვილიც მდებარეობს 5 არშინით დაბლა ხსენებულ არხის დონეზე.

წყლის ენერგიაზე გადაყვანით წისქვილი უეჭველათ გახდება დიდათ სასარგებლო არა მარტო მთელი კახეთის გლეხობისათვის, არამედ სახელმწიფოსათვისაც.

მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა: ვინაიდან ბადიაურის წისქვილს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მთელ გარე კახეთის გლეხობისათვის და წისქვილის ქვის გაჩერება დიდ ზარალს მოუტანს გლეხობას, და ვინაიდან ს. მ. უ. ს. ამ ჟამად არა აქვს სახსარი გადაიყვანოს წისქვილი წყლის ენერგიაზე, ეთხოვოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და იქნეს აღძრული შუამდგომლობა ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოში, რათა გადაიდოს საჭირო თანხა ამ მიზნისათვის იმ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

საქართველოს მრეწველობის გაუმჯობესებისათვის. ს. მ. უ. ს. მრეწველობის გამოცოცხლების და გაუმჯობესობის აუცილებელ პირობას შეადგენს მრეწველობისათვის საჭირო თანხას გადადება და ყველა წარმოებათა თავის მოყრას ს. მ. უ. ს. გარშემო, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე რათა სასწრაფოთ იქნეს ცხოვრებაში გატარებული ს. ს. ცაკის მიერ მიღებული თეზისები მრეწველობის შესახებ. პირველ ყოვლისა წარმოებათათვის საჭირო თანხის გადადება და ს. მ. უ. ს. გარშემო თავის მოყრა ყველა გაბნეულ წარმოებათა.

საზოგადოება „ჩემო“-ში

სავალიუტო საკითხი.

მოხსენებებისათვის სავალიუტო საკითხების შესახებ საზ. „ჩემო“-მ გაგზავნა მოსკოვში დირექტორი დარახველიძე და საბჭოს წევრი ვიურცბიურგერი.

საკითხი შავი ქვის თვითღირებულების შესახებ.

ეს საკითხი გადაეცა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და განხილული იქნება ოთხ მეურნე-კომისრებიდან შედგარი კომისიის მიერ.

კოლექტიური ხელშეკრულებების დადება.

კოლექტიური ხელშეკრულებების დადება შავი-ქვის მტვირთავებთან და მადანზე მომუშავეებთან გადასდო საზ. „ჩემო“-მ სავალიუტო საკითხის გადაჭრამდე.

კრედიტი რკინის გზას.

საზოგად. „ჩემო“-მ გაუხსნა კრედიტი რკინის გზას 1000 გირ. სტერლინგამდე რკინის გზის. მთავარ ხაზზე შავი-ქვისათვის ვაგონების შესაკეთებლად.

შავი ქვის მრეწველთა განცხადება.

შავი ქვის მრეწველებმა შემოიტანეს საჩივარი ვაგონების სავსებით შეუკეთებლობის შესახებ, რის გამოც ბევრი აკლდება შავი-ქვის გადაზიდვის დროს.

წარმომადგენლობა ინდოეთში.

საზ. „ჩემო“ იმუშავებს პროექტს ინდოეთში საზოგადოების წარმომადგენლობის მოწყობის შესახებ, რომელსაც დაევალება ინფორმაციის მოწოდება შავი-ქვის საკითხებზე.

ტეხნიკური მოწყობილობის შესყიდვა.

საზ. „ჩემო“-ს დირექციას დაევალა აწარმოოს მოლაპარაკება საზ. „არკოს“-თან შავი ქვის მრეწველობის ფირმების საჭიროებისათვის ტეხნიკური მასალების შესყიდვის შესახებ, თუ სავალიუტო საკითხი სასურველად იქნება გადაჭრილი.

სასოფლო მეურნეობა

აგრონომიული დახმარების ქვეგანყოფილება.

(მაისის ანგარიში).

ნომიული დახმარ. ქვე-განყოფილება ამ თვის განმავლობაში ებდა მუშაობას მებამბეობის ს კამპანიის ჩასატარებლად. შემუშავებულია დებულება სამეურნეო ების საწყობების შესახებ და იარაღების გაქირავების წესები. ბილია საცდელი მინდვრები ისში, სართიჭალაში, მარტყოფში და დიღომში. ამავე სოფლებში ბილია ხეხილების სანერგე. რა მაზრაში ჩაყრილია ამერიკული სანერგე და გაშენებულია ბოს ზუგდიდის მაზრაში დაწყებული მუშაობა ბოტანიკური ბაღის წესრიგებლად. ზუგდიდის მაზრის ნომიული დახმარების ქვე-განყოფილების განკარგულებაში გადა მეტეოროლოგიური სადგური. ანის მაზრაში მოეწყო აგრონომიული პუნქტი, ამავე პუნქტთან ებული ბოსტანი. მოეწყო ზე ონში მემინდვრეობაში საჩვენე მინდორი. მოწყობილია აგრე საჩვენებელი მინდორი ხარაგო რაიონში. გორის მაზრაში შე ული და შეკეთებულია სამეურ იარაღები, მოეწყო სხვადასხვა ებში უპარტიო გლეხთა კონფე ციები. მიღებულია სხვადასხვა ძიებანი. მესაქონლეობაში, მე კრეობაში და მებაღეობაში მო ბილი იყო ბაღების წამლობა. შე ილია და განაწილებულია 30 მი ონი მანეთის ბოსტნეული თესლი, როგორც საკუთარ მამულებში ისე ხო მცხოვრებთა შორის. ამას და აგრონომიული პერსონალი თავდა მაზრებში საუბრებს და ქტიკულ ხელმძღვანელობას უწევ სოფლის მეურნეთ.

თესვითი კამპანიის ჩასატარებლად ებული იყო ზომები, აიკრიბა 21 და 22 წელს სესხად გაცემული თესლი. აკრეფილი სათესურით დაკმაყოფილებული იქნა მაზრათა უმეტესი ნაწილი, ხოლო ზოგიერთ მაზრებს სათესი არეს გაფართოვების გამო მიეცათ კიდევ დამატებითი სათესლე. ყველა საპურე მცენარეები დროზე იქნა დათესილი. ნათესებს ყველგან კარგი პირი უჩანს.

სოფლო მეურნეობის მავნეებთან მებრძოლი ბიურო.

აწარმოებდა შემდეგ მუშაობას: კა ში დამთავრდა თაგვების საწინააღმდეგო ბრძოლა, რომელიც დაიწყო მარტში და დასრულდა მაისში. გამოკვლეულია სართიჭალა—მარტყოფის რაიონი, სადაც აღმოჩენილია თაგვების და სხვა მავნეების არსებობის ნიშნები. ამავე მაზრაში აღმოჩენილია ვების, ყვავილჭამია, გძელდინგიან ის და სხვა მავნეების არსებობა, რომლის საწინამდეგოთ მიღებულია ზომები. კახეთის კალიისგან გადასარჩენად და ამ მწერის საწინამდეგო ბრძოლის საწარმოებლად გაიგზავნა ერთი აგრონომი. მოსკოვის გამოფენისათვის დამზადებულია 30 ვიტრ.

მევენახეობა—მეღვინეობის ქვეგანყოფილება.

ამ განყოფილების მუშაობა გამოიხატებოდა უმთავრესად ამერიკულ ვაზის დასამყნობ და დასარგავ მასალების დამზადებასა და ნერგების დასარგავად ნიადაგის შემზადებაში. ალაიანის სანერგეებთან დამზადდა 67,200 ცალი ნამყენი, კონდოლის სანერგეებთან 120,000 ცალი. მოეწყო ამერიკული ვაზის მყნობის ორკვირიანი კურსები. ქვეგანყოფილებამ გამართა ქ. ზესტაფონში ზემო იმერეთის მევენახეთა ყრილობა.

საცდელ საქმეთა ქვეგანყოფილება.

ამ საანგარიშო თვეში ახდენდა სამეცნიერო ლაბორატორიულ გამოკვლევებს და ამზადებდა საჭირო მასალას მოსკოვის გამოფენისათვის.

საქონლის მოშენების ქვეგანყოფილება.

ორთაჭალის ფერმაში გრძელდება პრაქტიკული მეცადინეობა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ამ თვეში ორთაჭალის ფერმიდან საქონელი გადაყვანილ იქნა ოლღის მამულში საზაფხულო საძოვრებზე. ამ საანგ. თვეში სოფ. ოლგინსკის ფერმაში მოწველილია 498 ფუთი რძე. ციხის ჯვრის ფერმაზე შესრულდა სასეზონო მუშაობა, შეძენილია საჭირო ფურაჟი. მიღებულ რძისგან შემზადდა რძის ნაწარმოები, რაც ადგილობრივ იქნა გასაღებული.

საძოვრების ქვეგანყოფილება.

საანგარიშო თვეში ქვეგანყოფილება აწარმოებდა საძოვრების მოწყობა-მოგვარებას. შირაქის რაიონში გაიგზავნა სპეციალისტები საძოვრების მოსაწყობად. ბორჩალოს მაზრაში შედგენილია 564 საანკეტო სია, რომლებშიაც აღრიცხულია 4132 მსხვილი და 20352 წვრილი საქონელი.

სატყეო განყოფილება.

განაგრძნობდა ტყეების მოწყობის საქმეს. შედგენილია განმარტოებითი და სატაქსაციო აღწერილობანი, ხე-ტყის ჭრის ნუსხა; მიწის-მზომელთა მიერ მოხაზულია სატყეო აგარაკების გეგმები, გადაწყვეტილია ტყეების მოწყობა ჩატარდეს ნაცვლად 5 წლისა 2 წლის განმავლობაში.

ამ მოსაზრებით მიწის მზომელნი განაწილებული იქნენ სხვა და სხვა სატყეოთა შორის, სადაც ადგილობრივ თანამშრომლებთან ერთად უნდა აწარმოონ განმარტივებული წესით ტყეების აღწერა—მოწყობა.

სატყეო სტატისტიკაში სწარმოებდა მუშაობა ტყეების მოედნის აღსანუსხავად და აგარაკების გამოსაკვლევად. სწარმოებდა მუშაობა დიაგრამებისა და კარტოგრამების შესადგენად. შემუშავებულია სხვა და სხვა ანკეტები სატყეო მეურნეობის საკითხების გამოსარკვევად.

სამთო საკულტურო სატყეოში, სწარმოებდა მუშაობა თესლების დათესვა-აღმოცენების მხრივ და აღმოცენებულ ნერგების მოსავლელად.

ტყეების ექსპლოატაციის მიზნით დადებულია ორი ხელშეკრულება 450 მილ. მან. სათანადო ყურადღება ჰქონდა მაქცეული ტყეების დაცვა შენახვას. ამ საანგარიშო თვეში დამთავრდა სატყეოების გაწმენდა არა სასურველ ელემენტებისგან.

ტყე

ერთ გეგმაზე შედგენილი კანონი ტყის მოვლა-მოშენების და დამუშავების შესახებ, შეადგენს მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხს.

ტყის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში, წყლის სიმდიდრეში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ქვეყნის მშვენიერებისათვის ყველასათვის ცხადია, ამიტომაც ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით; მოვიყვანთ, მხოლოდ ამ საერთო მოსაზრებას, რომ ერთიანი გეგმის გატარება მეურნეობის ყველა დარგში შეადგენს აუცილებელ მოთხოვნილებას.

ერთ გეგმაზე უნდა იყოს აგებული და ერთ ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა წარმოებდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგები. ამას ცხადათ გამოთქვამს საქართველოს სახ. მეურ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმი თავის 1922 წლის სტატისტიკურ-ეკონომიურ კრებულში:

„მრეწველობის ყველა დარგი და მათი მოქმედება აუცილებლად საჭიროა მოქცეული იყოს ერთ სახელმწიფოებრივი ორგანოს ხელში“. უამისოდ, დასძენს პრეზიდიუმი, შეუძლებელია ჩვენი მრეწველობის აღდგენაო.

ამავე აზრს ატარებს რუსეთის პრესა. მაგალითად, ი. ს. ლავროვი „Торг.-пром.“ გაზეთის 132 ნომერში (16 ივნისი) ამბობს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთი სატყეო სამეურნეო და სამრეწველო ორგანოს შექმნა ბევრ დაბრკოლებებს და არა საჭირო ორგანოებს გააუქმებს“. ავტორის აზრს ეთანხმება თვით გაზეთის რედაქცია და შენიშნავს, რომ ლავროვის აზრს იზიარებენ სატყეო დარგში მომუშავეთა უმეტესობაო.

სატყეო მეურნეობას ორი მხარე აქვს—ერთი მეორეზე მჭიდროთ დაკავშირებული: ტყის მოვლა-მოშენება და მისი ექსპლოატაცია—დამუშავება.

საქართველო ძველი დროიდან ტყით მდიდარი ქვეყანა იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში თვითმპყრობელობის მტაცებლურმა პოლიტიკამ დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას და მშვენიერი, დაბურული ტყეები: აჯამეთის, საციციანო—გორის მაზრაში—და სხვაგან ბევრ ალაგას ტყე ან სავსებით განადგურდა, ან ძლიერ შეკვეცა. საუკეთესო, ძვირფასი ჯიშის ხეები, როგორც მაგალითად,—ბზა (სამბიტი), კაკალი, ძელქვა—თითქმის მოსპობილია და საექსპლოატაციოდ ეს ხეები აღარ იშოვება.

ამ მტაცებლური პოლიტიკის დიდი მაჩვენებელია ტფილისი და მისი არე მარე.

ძველად, როცა გახდა საქართველოს დედა-ქალაქად ტფილისი, ის და მისი არე-მარე ტყით იყო დაბურული.

დღეს ტფილისის მიდამოებში დაახლოებით 20—25 ვერსტის რადიუსზე ტყე აღარ მოიპოვება.

ტფილისი, როგორც ქალაქი, მე-19 საუკუნის განმავლობაში, სწრაფად იზრდებოდა და, ასე ვსთქვათ, სჭამდა ხე-ტყეს, -შეშის და ნახშირის სახით.

რამდენად იზრდებოდა ქალაქი, იმდენად შორდებოდა მას ტყე და, დაბოლოს, ტფილისი დარჩა შიშველ-ტიტველი, უგემურ, ულაზათო რიყეზე.

მთელი საქართველო რომ ჩამოიაროთ, ფოთის ჭაობების გარდა, ამისთანა უვარგის ადგილს მეორეს ვერ შეხვდებით და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტყე განადგურებულია ქალაქის გარშემო.

ამ გარემოებას მიაქციეს ყურადღება მხოლოდ მე-19 საუკ. დამლევს ჯერ ყ. მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა დაიწყო მამადავითზე ხეების რგვა და შემდეგ ქალაქმა მოაშენა ნაძალადევის ქედზე „ხუდადოვის“ ტყე. მაგრამ ამ დანერგულთა ზრდა და გაფართოება მჭიდროდ დაკავშირებულია დიდ წყალსადენის გამოყვანასთან; როდესაც ქალაქს უხვად ექნება წყალი, ტყეც ადვილად იხარებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით ზოგიერთი მაზრები, ძლიერ მდიდარია ტყეებით. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ახალქალაქის მაზრა, სადაც ტყე სრულიად არ მოიპოვება.

ამ დიდ სიმდიდრეს ესაჭიროება რაციონალური ექსპლოატაცია. ტყე იმდენია ჩვენში, რომ მისი წესრიგზე გაჩეხა—მოგვცემს არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის საკმარის მასალას, არამედ შესაძლო იქნება ბევრი ნედლი და ნახევრად დამუშავებული მასალის საზღვარ გარეთ გაზიდვა.

ჯერჯერობით ეს საქმე, როგორც აღნიშნავს სახ. მეურ. უ. ს. პრეზიდიუმის კრებული, ძლიერ სუსტობს. 1922 წ. განმავლობაში დაუმუშავებიათ: 85,166 შპალი; 18,259 ძელი; 34,500 ტკეჩი; 3,139 კუბ. საჟ. შეშა და 22,662 ფუთი ნახშირი.

ეს შეადგენს ადგილობრივი მოთხოვნილების ნაწილს. საჭიროა სათანადო უწყებამ მიეცეს საშუალება უფრო ინტენსიურად წაიყვანოს საქმე.

ზონელი.

ბრძოლა სარწმუნოების წინააღმდეგ

დღეს ჩვენში ფართედ არის გაშლილი სარწმუნოების საწინააღმდეგო ფრონტი. ეს ბრძოლა ოთხი თვეა რაც დაიწყო თვით მშრომელი მასის თაოსნობით და დღეს-დღეობით კვლავ გრძელდება. იხურება ეკლესიები თვით მშრომელების დადგენილებით და აქ არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. თავისი ნებით საზოგადოება ხურავს ეკლესიებს და აქცევს მათ კულტურულ დაწესებულებებათ (სკოლებათ, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებათ, კლუბებათ და სხვ.), არც ერთი კუთხე არ დარჩენილა საქართველოში, სადაც სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის ტალღებს არ მიეღწიოს. ამ ბრძოლას მშრომელი მასა აწარმოებს უსაზღვრო ენტუზიაზმით, რომელიც დამახასიათებელი ნიშანი არის დაჩაგრული კლასის.

გამალებული სისწრაფით ხდება შერყევა რელიგიურ ცრურწმენათა

სტიქიურ ზრდას ანტი-სარწმუნოებრივ განწყობილებებისას ძლივსღა უსწრებს ჩვენი აგიტაცია. სწრაფი ნაბიჯებით ვითარდება ჩვენში ანტი-რელიგიური კამპანიები. მშრომელი მასა განუსაზღვრელი ინტერესით ეკიდება ამ საკითხს. აშკარაა, რომ მშრომელთა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ფსიქიკა დუღილს განიცდის და დაჟინებით მოითხოვს გადასინჯვას, ცხადია, რომ არსებობს მოთხოვნილება ისეთი მსოფლმხედველობის გამომუშავების, რომელიც შეეფარდება დიად გადატრიალებას საზოგადოების ურთიერთობაში და გამოხატავს მუშების და გლეხკაცობის სულისკვეთებას.

რელიგია არის მძლავრი იარაღი გაბატონებულ და მქონებელ კლასის ხელში მშრომელი მასის დასამონავებლათ. ამიტომაც სრულებით გასაკვირი არ არის, რომ მშრომელი მასა დღეს ასეთ სასტიკ ომს უცხადებს რელიგიას, ამ „ხალხის ბანგს“ და სცდილობს ძირ-ბუდიანათ აღმოფხვრას ის და სამუდამოთ მოიშოროს მისი მძიმე უღელი.

მე აქ მინდა მკითხველ საზოგადოებას გაუზიარო ის შთაბეჭდილებანი, რომელიც მე მივიღე ჩემი სალექტორო მოგზაურობის დროს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ კუთხეში, სახელდობრ შორაპნის მაზრაში.

მე შემოვიარე ამ მაზრის ყველა რაიონები და წავიკითხე მოხსენებები სარწმუნოების, მისი წარმოშობის და განვითარების შესახებ. ამ მოხსენებებს ყველგან ბლომად ესწრებოდა საზოგადოება (განსაკუთრებით მუშები და გლეხები). მოხსენებათა დასრულების შემდეგ სცვივოდა მსმენელთაგან ზეპირი და წერილობითი შეკითხვები: „როგორ წარმოიშვა ადამიანი, ცხოველები და მცენარეები?“ „რას წარმოადგენს დედა-მიწა და რამდენი ხანია, რაც არსებობს?“, „რა არის ქექა-ქუხილი, მეხი და როგორ წარმოიშვენ იგინი?“, „სცხოვრობდა თუ არა ქრისტე?“), „ითამაშა თუ არა რაიმე როლი ქრისტიანობამ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში?“, „ქრისტეს მოძღვრებაა ქრისტიანიზმი თუ არა“?, „რისთვის არის ეხლა „ცოცხალი ეკლესია“ და რას მოითხოვს ის“?. აი ზოგიერთი კითხვები, რომლებსაც მომხსენებელს უყენებს აუდიტორია.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, თუ როგორ გაღვიძებულია ხალხის შემეცნება და როგორ შერყეულია სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა.

იგულისხმება, რომ ამომწურავ პასუხს ლექტორი ვერ გასცემს ყველა საკითხებზე. ის მოკლეთ აღნუსხავს ჩვენს შეხედულებას ბუნებაზე და ადამიანის წარმოშობაზე. ასეთი საკითხების გარკვევისათვის უნდა ინიშნებოდეს განსაკუთრებული მოხსენებები. მაშასადამე, მოხსენებებს წმინდა „სარწმუნოებრივ თემებზე“ უნდა დაერთოს ისეთი ლექციები, რომლებიც გაურკვევენ მსმენელებს ბუნებაზე მატერიალისტურ შეხედულებებს. აქ გაერთიანებულ გადაბმულ უნდა იქნას ლექციები სარწმუნოების შესახებ და ბუნების მეტყველებაზე. ეს მოგვცემს ჩვენ საშუალებას უფრო ღრმათ ვაწარმოოთ სარწმუნოების კრიტიკა და ნამდვილი ცოდნა მივცეთ მშრომელ მასას.

აგიტაცია მხოლოდ ჰკრებს მასას, გამოყავს ის უძრავი წერტილიდან, უღვიძებს შეგნებას და ამსხვრევს დაგროვილ ტრადიციებს.

ამ დახავსებული წარმოდგენების გაფანტვის შემდეგ საჭიროა მშრომელი მასის გონებას ახალი საზრდო მივსცეთ მეცნიერების, ცოდნის სახით. ასეთი ცოდნა დაედება საფუძვლათ მის აზროვნებას და სამუდამოთ აღმოფხვრილი იქნება მისი შემეცნებიდან ცრუმორწმუნოებები. ამ მუშაობაში ჩვენ შეგვიძლია ჩავაბათ ე. წ. კარგი „სპეცები“, ტეხნიკოსები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები და ქიმიკოსები, რომლებიც დიდ დახმარებას გაგვიწევენ. რუსეთში შინჯეს ეს და მეტად დადებით და ნაყოფიერ შედეგს მიაღწიეს. საჭიროა მხოლოდ ზედამხედველობის უფლება ჩვენ დავიტოვოთ და თვალი ვადევნოთ ამ მუშაობას.

აი სწორეთ ამ მიმართულებით, ამ რიგზე უნდა ვაწარმოოთ ჩვენ მუშაობა და დამაკმაყოფილებელ შედეგებს მივაღწევთ. მარტო „საგასტროლო“ ლექციებით ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ, თუ ზემოხსენებულ დაკავშირებას არ მიეცა ფართო სარბიელი. სწორედ გადაბმა-გაერთიანება ლექციებისა რედიგიის და ბუნების-მეტყველების შესახებ მოგვცემს მაქსიმალურად ნაყოფიერ შედეგებს.

„დავიწყოთ, როგორც ამხ. სტეპანოვი ამბობს საგიტაციო შეჰყრობით, და გავაგრძელოთ საპროპაგანდო გაღრმავებით“.

ჩვენი მთავარი მიზანია მოვსპოთ ყოველივე ცრუ-რწმენანი და განათლების გზაზე დავაყენოთ მშრომელი მასსა. თავის თავად ცხადია, რომ მარტო დადგენილებების გამოტანა ეკლესიების დახურვის შესახებ და მათი დახურვით არ მთავრდება ანტი-სარწმუნოებრივი კამპანია. სწორედ ამის შემდეგ იწყება ნამდვილი პრაქტიკული მუშაობა. აქ უნდა იქნას გაჩაღებული მუშაობა კლუბების, სამკითხველოების და სკოლების საშუალებებით და ცოდნის შეძენას უნდა დავაწაფოთ ხალხური მასსა.

მშრომელი მასსა თვით დარწმუნდა სამღვდელოების მთელს გაიძვერობასა და სიცრუეში; მოწამეთის „წმინდანების“ ამბავმა მშრომელი მასსა ერთხელ კიდევ ზედმეტათ დაარწმუნა სარწმუნოების სიყალბეში.

ანტი-სარწმუნოებრივი ტალღა მთელი სიძლიერით ავარდა და წალეკა ძველი ღმერთები.

შორაპნის მაზრაშიაც იყო ისეთი ეკლესიები, რომლებსაც სასწაულთმოქმედებას აწერდენ. და როდესაც გასინჯეს „სასწაულთ-მოქმედი“ ადგილები, აღმოჩნდენ ჯირკები ჯერ ხავერდში და შემდეგ კი ფარჩეულში გახვეული. ამ მოვლენამ ბრმებსაც კი აუხილა თვალი და მთელი მაცდურება სამღვდელოებისა ცხადჰყო. ამის შემდეგ არ შეეძლო მასსას ზურგი არ შეექცია სარწმუნოებისათვის და მისი ქურუმებისათვის და არ გადასულიყო მათ წინააღმდეგ შეტევაზე. დღეს ამ მაზრის ფარგლებში არ არის დარჩენილი არც ერთი თემი ან სოფელი, სადაც ეკლესიები არ იყოს დახურული ხალხისვე დადგენილებით. მაგალ., ჩხარის რაიონში თვით ადგილობრივი მცხოვრებლების მოთხოვნილებით დაიკეტა სხვა და სხვა დროს 46 ეკლესია. თავი დაანება მღვდელთ-მსახურებას 20 მღვდელმა; ხარაგოულის რაიონში ხალხის საზოგადო კრებების დადგენილებით დაიკეტა 70 ეკლესია, 28 მღვდელმა უარი განაცხადა თავის თანამდებობაზე და მოქალაქეთ გახდომა არჩიეს.

ასეთსავე სურათს ვხედავთ დანარჩენ რაიონებშიაც. ყოველივე ეს მოხდა ადგილობრივი ხელისუფლების ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. არსად ძალმომრეობას ადგილი არ ქონია. თავისი საკუთარი თაოსნობით მშრომელ მასას გამოქონდა დადგენილებები და ატარებდა მათ ცხოვრებაში. აღსანიშნავია ის მოვლენაც, რომ სამღვდელოების დიდმა უმრავლესობამ თავის ძველ თანამდებობას მიწა არჩია და არჩევაზე: ადგილი გინდა თუ მღვდლობა—ხუცესი უყოყმანოთ მიწას ირჩევდა. ეს კიდევ მჭერმეტყველურათ ადასტურებს მათი ქადაგების სიყალბეს და ხალხის მოტყუილებას.

დახურული ეკლესიები უქმათ არ რჩება, არამედ ხდება მათი მიზანშეწონილი გამოყენება.

ბევრგან უკვე ეკლესიები გადაკეთებულ იქნენ სკოლებათ, კლუბებათ, სამკითხველოებათ, სადაც გაჩაღებულია კულტურული მუშაობა. არც ერთი ყოფილი ეკლესია არ რჩება გამოუყენებელი. მთელი საზოგადოება გართულია დღეს ამ გადაკეთების მუშაობაში და ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ დიად საქმეში. ჩვენი ამხანაგების გადმოცემით, ზესტაფონის რაიონში გადაკეთებულ იქნა ეკლესია თეატრათ და პირველი წარმოდგენის დროს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ სამმა წყებამ ზედიზედ უყურეს წარმოდგენას. აი რამდენათ დიდია ლტოლვა მშრომელ მასაში კულტურულ კერასადმი.

დიდი აღფრთოვანებით სწარმოებს ეს მუშაობა. მე თვითონ ვნახე ბევრი ყოფილი ეკლესიები, სადაც დღეს დაუღალავი მუშაობა სწარმოებს მათ გადასაკეთებლათ. ყოფილი ეკლესიები ნამდვილი განათლების კერებათ იქცევიან და თვით ხალხი არ იშურებს ამისათვის ძალ-ღონეს.

ცოტა ხნის განმავლობაში ეს მუშაობა ეკლესიების გადაკეთებისა დამთავრდება და ხალხს მიეცემა საშვალება განათლებას ეზიაროს. აქ საჭიროა ჩვენმა პოლიტ განათლების განყოფილებებმა ყოველივე ზომები მიიღონ, ისარგებლონ და ფართოთ გაშალონ თავიანთი განმანათლებელი ფრონტი. მკვიდრი საფუძველი უნდა ჩაუყაროთ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სოფლათ და მოვსპოთ საბოლოვოთ ყოველგვარი ცრურწმენანი.

ცენტრმა უნდა გაუწიოს დახმარება ადგილებს, რათა განმანათლებელი მუშაობა თავის დონეზე იქნას დაყენებული. ადგილობრივათ დიდ სიღარიბეს განიცდიან; არ აქვთ საშვალება თეატრებად გადაკეთებული ეკლესიები მორთონ და გაამშვენიერონ. სცენისათვის ფარდაც არ აქვთ ხშირად და აქ ნივთიერი დახმარებაა აუცილებელია.

განახლებულ სახეს იღებს თანამედროვე სოფლის ცხოვრება. საზოგადოება კარგათ სცხოვრობს უეკლესიოთ და უღმერთოთ.

მიცვალებულის გასვენების დროს ის აღარ უხმობს მღვდელს, არამედ სრული სიმშვიდით ასაფლავებს თავის მიცვალებულს უმღვდლოთ. მღვდლის წინააღმდეგი დიდიხანია რაც იყო ჩვენი გლეხკაცობა.

თუ ის სარწმუნოებას მაგრათ ჰკიდებდა ხელს, ეს მიტომაც, რომ ეგონა თითქოს სარწმუნოებისაგან წარმოსდგებოდა ზნეობა; გლეხი ყოველთვის აკავშირებდა ზნეობას სარწმუნოებასთან. სიყალბე ამ აზრის დღეს მისთვის ერთგვარათ ცნობილია. თუმცა ხანდისხან ის მაინც ყოყმანობს. უცოდინარობა ამაგრებს მის არსებაში ამ აზრს. ამის აღმოსაფხვრელათ ცოდნაა საჭირო, რომელიც მას კრიტიკულ აზროვნებას შეჰმატებს. ადგილობრივათ მომუშავე ამხანაგებს მეტის-მეტად კარგი აზრი მოსვლიათ თავში. მათ განზრახული აქვთ შეიძინონ რამეფერად სამხედრო მუსიკა (духовая музыка); მღვდლის მაგიერ, რომელიც მიყვებოდა მიცვალებულს, იქნება მუსიკა. ეს მართლაც მისაღები იქნება ხალხისათვის და მეტად კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს. მუსიკით გასვენება ერთგვარი მომხიბლავი შეიქნება ყველასათვის და ძველ ჩვეულებას—მღვდლით გასვენებას—ნიადაგი გამოეცლება. მხოლოდ უსახსრობა აჭირვებს და აბრკოლებს აქაც საქმეს და ეს მშვენიერი აზრი განუხორციელებელი რჩება ჯერ-ჯერობით. მე მგონია, რომ ეს იმოდენათ დიდძალ ხარჯებს არ გამოიწვევს და დახმარება ცენტრის მხრივ საჭირო იქნება.

მაგრამ ყველაზე უფრო უკეთესი და სოფლად განათლების განმამტკიცებელი და შემტანი იქნება ე. წ. **მოძრავი კინო.**

ეს მოძრავი კინო ყველაზე უკეთესი პროპაგანდისტი იქნება და დიდათ შეუწყობს ხელს ხალხის გათვითცნობიერების საქმეს. არც ერთი საშვალება არ იქნება იმაზე უფრო მჭრელი და ნაყოფის მომტანი, როგორც მოძრავი კინოების მოწყობა. და მართლაც, არსენ ჯორჯიაშვილის ან და სურამის ციხის სურათების ჩვენება სოფლად მეტის მეტად დიდ სულიერ გარდატეხას მოახდენს მშრომელ ხალხის მასაში.

ასეთი მოძრავი კინოების მოწყობა და მათი ამუშავება უნდა დაისახოს მიზნად პოლიტიკურ განათლების მთავარმა სამმართველომ, და განახორციელოს ის, რაც შეიძლება მოკლე ხანში. ეს საკითხი მეტად სერიოზულია და ის არავითარ დაყოვნებას არ ითმენს. ადგილობრივად მომუშავე ჩვენი ამხანაგები ამ მოძრავ კინოებზე დიდ იმედებს ამყარებენ, და საფუძვლიანადაც. თუ მეტად დაშორებულ კუთხეებში ვერ შევსძლებთ მოძრავ კინოებას ამუშავებას, მაშინ ახლო-მახლო სოფელ-დაბებში მაინც უნდა მოხერხდეს ეს პირველ ხანებში და შემდეგ, თანდათანობით, გავიწიოთ მიყრუებულ კუთხეებისაკენაც.

ჩემი მოგზაურობის დროს შორაპნის მაზრაში შევნიშნე, რომ მეტად დიდი მოთხოვნილება არის ანტი რელიგიურ ლიტერატურის. ამ მხრივ ნამდვილი სიმშილია სოფლად.

რაიონული ცენტრის პასუხისმგებელი ამხანაგებიც კი მოკლებული არიან, წიგნების უქონლობის გამო, საშვალებას გადაიკითხონ ასეთი ლიტერატურა და თავისი ცოდნა შეავსონ.

ანტი-რელიგიური ხასიათის ლიტერატურის გამოყენების საქმე ჩვენ არ გვაქვს სათანადოთ დაყენებული; ასეთი ლიტერატურის მოხმარება „შინამრეწველური“ წესით მიმდინარეობს.

მართალია ჩვენ ამ მხრივ ორიგინალური ლიტერატურა არ მოგვეპოება. ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ თარგმნითი ლიტერატურას. ქართულ ენაზე არის ნათარგმნი რუსულიდან რამოდენიმე წიგნები. მაგ. ლოგინოვის „მეცნიერება და საღმრთო წერილი“, სტეპანოვის—„ნარკვევი რელიგიურ რწმენათა განვითარებიდან“ და სხვა პატარა წიგნაკები.

საჭიროა გადაითარგმნოს გ. კუნოვის წიგნი—„წარმოშობა სარწმუნოების და ღვთისადმი რწმენისა“.

მეტად დიდ დახმარებას გაუწევდა პროპაგანდისტებს ქრისტიანობის წარმოშობის კრიტიკულათ განხილვის დროს ა. **დრევსის წიგნი:** „მითი (არაკი) ქრისტეს შესახებ“—პირველი და მეორე ტომი.

ძალიან კარგი იქნებოდა მისი ქართულ ენაზე გადმოთარგმნა.

ასეთი წიგნების გადმოთარგმნის გარდა, საჭიროა მოეწყოს წესიერი განაწილება ამ ლიტერატურის. ასეთი ლიტერატურა აუცილებლად დაკლებულ ფასებში უნდა იყიდებოდეს, რათა საშვალება მიეცეს ხალხს ის შეიძინოს. ამასთან უნდა მოვაწესრიგოთ ლიტერატურის განმანაწილებელი აპარატი ისე, რომ წიგნი უნდა მივიდეს მასიურ მკითხველამდე. ასეთი წიგნები უნდა იყიდებოდეს ყველა კიოსკში და ხალხის შესაკრებ ადგილებში. ძალიან გამოსადეგი იქნებოდა ამ მხრით ამხ. სარაბიანოვის მიერ ნაჩვენები საშვალება მოსკოვის „სიმართლეში“; ანტი-სარწმუნოებრივი ლექციების მოწყობის დროს, ლექციის დაწყებამდე უნდა იყიდებოდეს ასეთი ხასიათის ლიტერატურა დაკლებულ ფასებში. ასეთი გზით ჩვენ შეგვიძლია ფართოთ გავავრცელოთ ანტი-რელიგიური ლიტერატურა ხალხში. ლიტერატურის გავრცელების დღევანდელი წესი თუ არ შეიცვალა (რომლის დროსაც ცენტრში ტყუილა ყრია წიგნები და ადგილები კი დიდ საჭიროებას განიცდიან), ისე შეუძლებელია მან გაატანოს მშრომელ მასაში. ჩვენს მთავარ მიზანს კი ამ მასის წყურვილების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენს.

დახურული ეკლესიები უნდა გადაიქცენ კულტურის ნამდვილ კერათ, საიდანაც ცოდნა-განათლება ფართოთ გავრცელდება მშრომელ ხალხში.

უნდა გაიხსნას კლუბები, სამკითხველოები, თეატრები; მოძრავი კინოები უნდა მოეწყოს სასწრაფოთ; ყოველივე ეს შეადგენს პოლიტგანათლების სამმართველოს გადაუდებელ ამოცანას.

ამნაირათ, პირველი შეტევა სარწმუნოების წინააღმდეგ მშრომელი მასის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მომავალში ჩვენი მუშაობა გამოიხატება იმაში, რათა ცრუმორწმუნოება და გაუნათლებლობა, რაც შეიძლება სწარაფად აღმოვფხვრათ გაღრმავებულ პროპაგანდის და აგიტაციის, სკოლების და კლუბების გზით.

ან. ბუაჩიძე

პროფკავშირებში

პოლიგრაფიული წარმოების კავშირში.

ხარისხების ასაწევად.

პოლიგრაფიულ წარმოების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მუშათა ხელფასის ხარისხების გადასახედათ და ასაწევად—დაარსოს კომისია, კავშირის, პოლიგრაფიულ განყოფილების და შემფასებელ-განმანაწილებელ კომისიის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალება ამ საქმის მოგვარება.

ურთიერთ დამხმარე კასიდან.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ურთიერთ დამხმარე კასას თავის ფონდიდან დროებით უმუშევართა დასახმარებლად გაიღოს ყოველ თვიურად 20 მილ. მანეთი.

განყოფილებების მუშაობა.

განყოფილებების დათვალიერების მიზნით, პროვინციაში კავშირის მიერ მივლინებული იყო ამხ. ბერბერაშვილი, რომელმაც უკვე დაათვალიერა ბათომის, სოხუმის და ქუთაისის განყოფილებები, დასახელებულ ადგილებში ყველგან კარგად არის დაყენებული პოლიგრაფიული წარმოება.

პროფტეხნიკური განათლება.

პროფტეხნიკურ განათლების მიზნით კავშირი ცდილობს გახსნას პოლიგრაფიულ წარმოების კურსები. გეგმის გამოსამუშავებლად დაარსებული იქნება კომისია, რომელიც კურსების საჭიროებისათვის მიიწვევს მცოდნე პირებს.

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობა ძალიან კარგად არის დაყენებული. მუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ კლუბის შენობა მეტად პატარაა და შესაფერისად ვერ ახორციელებს თავის გეგმებს კავშირი. ისე კლუბში მუშაობენ სამი დრამატიული წრეები. ქართული, რუსული და სომხური. ამას გარდა კლუბთან არსებობს მუსიკალური წრე, სამკითხველო და იწერება გაზეთები.

წესი უმუშევართა დასახმარებლად.

კავშირმა წინადადებით მიმართა სამდივნოს გამოიმუშაოს წესი უმუშევარ წევრთა დასახმარებლად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე დაუზღვევ მუშათა მდგომარეობა. დაზღვეული მუშები დახმარებას აგრეთვე იღებენ შრომის ბირჟიდანაც. ამრიგად წესით დაუზღვეველ მუშებმა დახმარება მეტი უნდა მიიღოს.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

სპარტაკი—წრე „ჰერკულესი“.

კომუნალურ მეურნეობის კავშირმა დაარსა სასპორტო-სავარჯიშო წრე „ჰერკულესი“. წრე მოთავსებული იქნება კინო „მირაჟის“ შენობაში.

წითელ დაფაზე.

კავშირმა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს დაუგზავნა მიწერილობა, რომ წითელ დაფაზე სახელის დაწერა შეიძლება მხოლოდ შრომის გმირების და არა იმათი, ვინც ხანგრძლივად მუშაობდა, რომელიმე დაწესებულებებში.

საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა სექციაში

მუშათა გათვითცნობიერებისათვის

საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა სექციამ მუშათა გათვითცნობიერების მიზნით გადასწყვიტა განზრახულ ლექციების პროგრამაში შეიტანოს საგნები: ქიმია, ტეხნოლოგია, ელექტრო-ტეხნიკა და მეტალურგია. მეცადინეობა საღამოობით იქნება. ზოგიერთი ლექციებზე ნაჩვენები იქნება სურათები ეკრანზე, სადაც დასახელებული საგნები ახსნილ-განმარტებულ იქნება.

წითელ ჯარში

ექსკურსია.

კვირას, 1 ივლისს, დივიზიის სკოლის წითელ არმიელებთან ერთათ მოეწყო გეოლოგიური ექსკურსია ლექტორ თათარაშვილის ხელმძღვანელობით. დილის 8 ნახ. საათი იქნებოდა, როდესაც ექსკურსანტები გაემგზავრენ ექსკურსიაზე. მათი მიმართულების ხაზი იყო კუკიის ხიდი, სადაც ხელმძღვანელმა ამხ. თათარაშვილმა გააჩერა წითელ-არმიელები და მდაბიო გასაგები ენით აუხსნა და განუმარტა მტკვრის ნაპირების შენება და წყლის გავლენა დედა-მიწის სახის ცვალებადობაზე. შემდეგ ექსკურსანტები გავიდენ რკინის გზის ლიანდაგზე, სადაც ხელმძღვანელმა უჩვენა წითელ არმიელებს მტკვრის ძველი მიმდინარეობა, თანდათანობითი ადგილის გამოცვლა და იმ სახის მიღება, რომელიც ეხლა მტკვარს აქვს. იქედან ექსკურსანტები გაემგზავრენ ბატანიკურ ბაღში, სადაც ბაღის დათვალიერების შემდეგ ავიდენ ჩაის გადაღმა მაღლობზე.

აქვე ხელმძღვანელმა უჩვენა ზღვის დანალექი ფენები. წითელ-არმიელები ძალიან დაინტერესა ამ ექსკურსიამ ისინი ხალისით მიჰყვებოდენ ამხ. ხელმძღვანელს და აძლევდენ სხვადასხვა საკითხებს, რომელზედაც ღებულობდენ დამაკმაყოფილებელ პასუხებს.

ექსკურსია დამთავრდა სამ საათზე. წითელ არმიელები მადლიერი დაბრუნდენ ყაზარმაში იმ ფიქრით, რომ ისინი კვლავ ბევრჯერ წავლენ ასეთ ექსკურსიებზე. ეს პირველი ექსკურსია იყო ჩვენს დივიზიაში. შემდეგში ყველა დაბრკოლებები აცილებული იქნება.

დეზერტირების გასამართლება.

სამხედრო ტრიბუნალის სეს ამ 28—29 ივნისს მანგლისში მიუსაჯა ქართულ ჯარიდან დეზერტირობისათვის № ლეგიონის წითელ-არმიელებს: ხაბაურს, მამულაშვილს, ნებიერიძეს, ქურდოვანიძეს ორ-ორი წლით ციხე. ჯავახიძეს—სამი წელიწადი. კანკაძეს, ლოლობერიძეს და ქვერნაძეს წელიწად ნახევარი ციხე, ბახტაძეს და ჯიხვაძეს თითო წელიწადი.

ფორმა ჯარისათვის.

მუშავდება პროექტი ქართულ წითელი ჯარის ფორმის შესახებ. შედგენილია კომისია, რომელიც მოკლე ხანში გამოიმუშავებს ახალ ფორმას ქართულ წითელ ჯარისათვის.

ახალი კურსები.

ქართულ მსროლელ დივიზიასთან დაარსდა კომისია დივიზიის ნაწილებში მეტრიული სისტემის გასატარებლათ. კომისიას განზრახული აქვს გახსნას მოკლე-ვადიანი კურსები, რომელიც მოამზადებს ხელმძღვანელებს ადგილზე მეტრიულ სისტემის გასატარებლათ.

ნაგრი.

ქრონიკა

ბანდიტის მოკვლა.

ა.-წ. 2 ივლისს, ღამე, საქართველოს საგანგებო კომისიის სართიჭალის პუნქტის თანამშრომლების მიერ მოკლულ იქნა სართიჭალის ბანდის მეთაური იოსებ ციკურიშვილი. იოსებ ციკურიშვილი ძველი ბანდიტი იყო, რომელმაც ტერორის ქვეშ დააყენა სართიჭალის რაიონის მთელი მოსახლეობა და მას ბრალდებოდა მკვლელობათა და ყაჩაღობის მთელი რიგი და აგრეთვე ტერორი პარტ. და საბჭ. მუშაკებზე, როგორც მკვლელის ამხ. შარმაზანოვის, კვიატკოვსკის, ბერძენიშვილის და მ. ერისთავისა. საინფორმაციო პუნქტის თანამშრომლებთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბანდიტის მოკვლაში, ეცხადებათ მადლობა და წარდგენილი არიან საჩუქარზე.

განათლების კომისარიატში

— **ექსკურსიები.** გან. კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ აცნობა განათლების განყოფილებებს, სანიმუშო ექსკურსიები მოაწყონ პირველად, ბათომის, ჩაქვის, ქიათურის, შუა ზაფხულში — ბორჯომის და შემოდგომაზე—კახეთის დასათვალიერებლად.

— **საბავშო სახლი მახინჯაურში.** სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობასთან არსებულმა რკინის გზის სექციამ დაადგინა: ბათომში არსებული ფ. მახარაძის სახელობის საბავშო ბაღი დაიხუროს და მის მაგიერ გაიხსნას მახინჯაურში იმავე სახელობის საბავშო სახლი.

— **სენაკის საპედაგოგიო მუზეუმი.** სოც. აღზრ. სასკოლო განყოფილებამ სენაკის განათლების განყოფილებას საპედაგოგიო მუზეუმისათვის დაუთმო ბოტანიკის, ზოოლოგიის, ანატომიის და სხ. დარგების თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელო ნივთები.

— **საბავშო სახლი ბორჯომში.** კვირას, 8 ივლისს ქ. ბორჯომში გაიხსნება პირველი საბავშო სახლი. სახლის შეფია ცეკავშირი.

— **ფიზიკური ობსერვატორია.** საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიამ აღადგინა აეროლოგიური ქვეგანყოფილება, რომელიც გაუქმებული იყო 7 წლის განმავლობაში.

წ. ჯვრის საზოგადოებაში.

— **სამალარიო სადგური.** ა. წ. 2 ივლისიდან წითელი ჯვრის საზოგადოებამ გააფართოვა თავის ამბულატორიის მუშაობა. ამბულატორიასთან მოწვეულია ცნობილი მალარიის სპეციალისტი, რომელიც ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 8—11 საათამდის მიიღებს მალარიით დაავადმყოფებულთ. გაშინჯული იქნება სისხლი პარაზიტებზე და სხ. ექიმობა და წამლობა უფასოა. სხვა სნეულებისთვის (როგორც შინაგანი და მცირე ხირურგია) წამლობა სწარმოებს ყოველ დღე 8—11 საათამდის.

გამომცემლობა.

— **წესდება.** გამოვიდა ქართულ ენაზე „რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წესდება“. ა.-კ. ახ. საგამომცემლო სექციის გამოცემა.

— **საჰაერო ფლოტი.** ხუთშაბათს, 5 ივლისს, საღამოს 7 საათზე, პროფკავშირის დიდ დარბაზში შესდგება საჰაერო ფლოტის ამხანაგობის პირველი საორგანიზაციო სხდომა.

სხვა და სხვა.

— **შალეულობის ფაბრიკა ქუთაისში.** ქუთაისში სექტემბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყებს მუშაობას შალეულობის დამამზადებელი ფაბრიკა, საჭირო ნედლი მასალა უკვე იგზავნება ქუთაისში.

— **დაზღვევის წიგნაკები.** შრომის კომისარიატის კოლეგიის განკარგულების თანახმად, დასაზღვევი წიგნაკები პროვინციის დამზღვევ კასებს არ გაეგზავნება განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

შრომის ბირჟა

— **სამშობლოში უმუშევრების გაგზავნა.** შრომის ბირჟა ამ დღეებში აგზავნის რუს უმუშევრებს სამშობლოში—რუსეთში. უმუშევრებს სამგზავრო ხარჯები მიეცემათ შეღავათით.

— **უმუშევრები.** 2 ივლისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 669 უმუშევარი, ჩაეწერა—68, ამავე დღეს სამუშაოზე გაიგზანა—74.

— **ინვალიდების შესახებ.** შრომის კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა სოციალურ დაზღვევის სამმართველოს შეიმუშაოს წესი; თუ რა შემთხვევაში ექნება უფლება ინვალიდს ერთი კასიდან—გადაწეროს მეორეში და ასეთ შემთხვევაში მიიღოს დახმარება.

შემთხვევა.

— **ქურდობა.** 28 ივნისს, ბოროტგამზრახველებმა მოქ. ტერმინასიანცს მოპარეს ბინიდან ძვირფასი ნივთები, რამდენიმე მილიარდის. ქურდმა, სარქისიანმა, მოასწრო გაპარვა სომხეთში.

ხელოვნება

— **ხელოვნების მუშაკთა კლუბი.** ხელოვნების მუშაკთა კავშირი რაბისის კულტგანყოფილება ყოფ. „მეფისტოს“ შენობაში ხსნის ხელოვნების მუშაკთა კლუბს სამკითხველო ბიბლიოთეკით.

— **საქალაქო კულტკონფერენცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირების პატარა დარბაზში გაიხსნება რაბისის მიერ მოწვეული საერთო საქალაქო კულტკონფერენცია.

— **„რუსთაველიანა“.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ისტორიკოს პაველ ინგოროყვას შრომა „რუსთაველიანა“, 1-ლი ტომი. გამოცემა სახ. გამომცემლობის.

— **დისპუტი თეატრზე** ამ დღეებში ხელოვანთა კავშირების მთავარი კომიტეტი, ხელოვნების სასახლეში მართავს დისპუტს თეატრზე. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ რეჟისორები, მწერლები, მსახიობები და სხ.

— **მწერალთა კავშირების საღამო.** ორშაბათს, 9 ივლისს, მწერალთა შეერთებული კავშირი, საზაფხულო კლუბში „ვეჩერნიე ზორი“ (მიხაილოვის პრ.) მართავს დიდ საღამო-სეირნობას, ცნობილი მსახიობების, მუსიკოსების და პოეტების მონაწილეობით.

— **სიმფონიური კონცერტები მუშათა საზაფ. კლუბში.** გუშინ მუშათა ცენტრალურ საზაფხულო კლუბში დაიწყო სიმფონიური კონცერტები, ივ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

გურიის ამბები

ამას წინედ „კომუნისტში“ ჩვენ გაკვრით ავღნიშნეთ ზოგიერთი განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას ხელს უშლიდნენ მშვიდობიან აღმშენებლობის საქმეში.

ხსენებული პირობების დასაძლევათ იხარჯებოდა საკმაოდ დიდი დრო და ენერგია.

დღეს კი საერთოდ ეს დაბრკოლებანი დაძლეულათ და გადალახულათ უნდა ჩაითვალოს.

პირველ ყოვლისა და უმთავრესათ, აქ ლაპარაკია მენშევიზმზე, რომელიც გურიაში სათავე იყო ყოველგვარი დანაშაულობისა და ბოროტების. გურიის მშრომელმა ხალხმაც ამიტომ მას გამოუტანა სასტიკი განაჩენი. მენშევიზმი საბოლოოდ გაიხრწნა, მან დაჰკარგა ყოველგვარი ნდობა ფართე მასსაში. ამას შემდეგ გაბანდიტებული პარტიის ბანდების დიდი უმრავლესობაც განადგურდა, ბევრმა იარაღი თავისი ნებით დაჰყარა და ისინი საპყრობილეში სხედან. დამყარდა სრული რევოლიუციონური წესრიგი, ხალხი შეუდგა მშვიდობიან აღმშენებლობას.

ეკლესიების გაუქმებასთან ერთად თითქმის ყველა თემებში გამოაქვთ დადგენილებები სახალხო სახლების აგების შესახებ. მიდიხართ თქვენ თემებში დასათვალიერებლათ და ხედავთ, რომ თემის აღმასკომის თავმჯდომარე და თემკომის მდივანი პირველყოვლისა გეწვიკებათ იმ ალაგისაკენ, სადაც მათ, თემის მცხოვრებთა ან საბჭოს დადგენილების თანახმათ, უკვე მოუწყვიათ სახალხო სახლი და ზედ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს.

გურულები მიმბაძველი ხალხიაო, ამბობენ. ეს მართალია: ერთ რომელიმე კუთხეში თუ რამე ახალი გაკეთდა, უსათუოთ მეორე კუთხემ უნდა მიბაძოს პირველს. მალე გურია შრომის სკოლებთან ერთად მოიფინება სახალხო სახლებით, სადაც ღვდლის თვალთმაქცობისა და ფარისევლური, გაიძვერა სიტყვების ნაცვლათ მშრომელი ხალხი მოისმენს საკუთარი ჭირ-ვარამისა და მომავალი გამარჯვების შესახებ წრფელსა და მართალ სიტყვას.

ერთი სიტყვით, დიდია ენტუზიაზმი, გამუდმებული შენების სურვილი და ხალისი.

ჩვენ ვალდებული ვართ სათანადო დახმარება აღმოუჩინოთ ხალხს კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

საჭიროა ერთნაირი სისტემა, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

პატარა ფელეტონი

ჩვენი ბურჟუა ომის მოლოდინში

ვინ გამითხარა ცოცხლად სამარე
და ვინ დამთხარა ორივე თვალი,
ვინ დამიბრუნა ჩარხი უკუღმა
და დამიხლართა მე გზა და კვალი?!.

იმედი მქონდა,—თოფ-ზარბაზნები
ჩემ სასარგებლოდ აქუხდებოდა...
შაბათს ნახული ტკბილი სიზმარი
კვირის გაზეთში „აცხადდებოდა“.

ახ, ერთი ომი, რა კარგი იყო!..
როგორც მალამო მომესწრებოდა
და დანგრეული ჩემი დიდება...
მუშათა ძვლებზე აშენდებოდა!

მიბნელებული ჩემი ვარსკვლავი
აწ ერთი ორად გაბრწყინდებოდა
და სიკვდილის დღეს ეს ჩემი გული
ჩაგრულთა კვნესით განელდებოდა,

გაქრა იმედი, გამიწყრა ღმერთი,
ოცნებად დარჩა ჩემი ლოდინი.
მე უბედურმა რად გავიშალე
სხვისი იმედით ფართო ლოგინი!

ეხლა რასა ჰგავს ჩემი სიცოცხლე,
ვისთან მივიდე, კარს ვინ გამიღებს
აღარც მტრედი ვარ, აღარც ღამურა;
შავი ყორანი სულ არ მიმიღებს.

ვინ გადაელობა ჩემსა დიდებას?!
ვინ, გამიცრუა მე მოლოდინი?!
ახ, როგორ შევცდი, რომ გავიშალე
სხვისი იმედით ფართე ლოგინი!

მუშკორი ვასილ როინიშვილი.

მელითონეებში

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების განკარგულებაში ამ ჟამად იმყოფება 5 ქარხანა-სახელოსნო, სახელდობრ 1 ლი და მე-3 ავტო-სახელოსნოები, 1-ლი და მე-2-რე სამექანიკო ქარხანა და სპილენძის სატკეცი ქარხანა.

საერთო რიცხვი მუშა-მოსამსახურეებისა აღნიშნულ სახელოსნოებში უდრის 405-ს. სახელოსნოებში ხდება ავტომობილების და მანქანების შეკეთება — დამზადება; ქარხნებში კი სასოფლო-სამეურნეო მანქანა—იარაღების, ნაწილების დამზადება, ელექტრონის სადგურების შეკეთება და სხვა სამექანიკო მუშაობის შესრულება. კავშირსა და ადმინისტრაციას შორის დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია 1-ლ ივლისიდან. კოლექტიური ხელშეკრულება უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას. მისი ძალით, მუშებს მიეცემათ „სპეც-ტანისამოსი“, იმ ალბომის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია სრულრუსეთის მელითონეთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის მიერ. ფიზიკურად მომუშავე ხელოსნებს ეძლევათ თვეში თითო გირვანქა საპონი. ჯამაგირი დროზედ გვეძლევა და ამ მხრივ უკმაყოფილება მუშა-მოსამსახურეთა შორის სრულებით არ არის, ივნისის პირველ ნახევრის ჯამაგირი ყველას მიეცა სრულიად, მეორე ნახევრისაც მოგვეცემა 5 ივლისამდე. მუშების მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ურთი-ერთი განწყობილება ნამდვილი ამხანაგური და მეგობრულია.

სამუშაოზედ არ გამოსვლას არა საპატიო მიზეზებით აქ ადგილი აღარ აქვს. ყოველი მუშა მელითონე შეგნებულად მუშაობს ჩვენი მეურნეობის ასაყვავებლად.

მუშკორი მელითონე.

გრეხილი ავეჯეულობის სახელოსნოში.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს აქვს **„ვერის დაღმართზე“** თავისი გრეხილი ავეჯეულობის სახელოსნო.

ამ სახელოსნოს მუშები საქმეს ძალიან მუყაითად ეკიდებიან. მათ არ აინტერესებთ მარტო თავიანთი ეკონომიური პირობები, ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ წარმოების განვითარების საქმესაც. აქაური მუშები ძველი-გამოცდილი მუშები არიან და თავიანთ სპეციალობის მიხედვით საქმეც კარგად ესმისთ.

ისინი, როგორც დაინტერესებულნი წარმოების გაუმჯობესების საქმეში, ვერ ხედავენ ამ უკანასკნელს სავსებით თავის დონეზე აქ. საქმეს აბრკოლებს ის გარემოება, რომ სახელოსნოს მთავარი სპეციალისტები ძალიან ხშირად წარმოების ამა თუ იმ დარგს ვერ აწოდებენ შესაფერ მასალას.

საქმისათვის ფრიად კარგი იქნებოდა, რომ მაღალი სპეციალისტები დაბალ, მაგრამ პრაქტიკულად გამოცდილ ხელოსნებს გაუზიარებდენ თავის აზრს ამა თუ იმ დასამზადებელ საქმის ტეხნიკურად შესრულების დროს.

აქაურ მუშებსა და ადმინისტრაციას შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულობის განხორციელების საქმეში დეფექტებად—მხოლოდ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ხანდისხან რამოდენიმე დღით, იგვიანებს ჯამაგირების დარიგება.

ერთ თვალსაჩინო დაბრკოლებად კიდევ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მუშებს არ აქვთ ბინა ბიბლიოთეკისა და კლუბისათვის. ამის შესახებ კიდეც მეცადინეობს ადგილკომი. მხოლოდ საჭიროა დახმარება კავშირის მხრით, რომ მათ მიეცეს ამისათვის შესაფერი შენობა.

მუშკორი ჩხმელი.

ჩვენს მუშკორებში

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციაში შესდგა ამავე გაზეთის მუშაკორესპონდენტების მორიგი კრება.

დღის წესრიგს შეადგენდა:

1) ამხ. მუშ-კორი ჩარხიშვილის საქმე; 2) მუშკორ როინიშვილის საღამოს მოწყობა და მიმდინარე საკითხები. ამხ. ჩარხიშვილს რკ. გზის ცენტრამოტის ადმინისტრაცია ბრალს სდებდა საქმისადმი გულგრილად მოპყრობასა და დაუდევრობაში, რის გამო ის სამსახურიდან დაითხოვეს. საქმის გამორკვევა დაევალა „კომუნისტის“ რედაქციის ერთს თანამშრომელს, რომელმაც საქმის ვითარება დაწვრილებით გამოიძია, რასაც შედეგად მოყვა ამხ. ჩარხიშვილის სამსახურში ისევ აღდგენა. რედაქციის მიერ მუშა კორესპონდენტის დაცვამ ამხ. მუშკორები აღფრთოვანებაში მოიყვანა.

შემდეგ ამხანაგები შეეხენ მუშკორ როინიშვილის სასარგებლოდ საღამოს მოწყობის საქმეს. ამ ერთი კვირის წინად მუშკორებმა შუამდგომლობა აღძრეს რედაქციის წინაშე, რათა ეს უკანასკნელი დახმარებოდა ნივთიერად მეტად შევიწროვებულ ამხ. როინიშვილს მის სასარგებლოდ განზრახულ საღამოს მოწყობაში. რედაქცია ამას დიდი თანაგრძნობით შეხვდა. დასასრულ ამხ. მუშკორებს დაურიგდათ ამის წინედ გადაღებული რედაქციის მუდმივ თანამშრომელ მუშკორთა სურათები.

მუშკორი წ—ძე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(პასუხისმგებლობა სამეურნეო დარგში დანაშაულისათვის).

1. **კითხვა:** რა სასჯელი მოელის სახელმწიფო დაწესებულებას ან საწარმოოს სათავეში მდგომ პირს უთადარიგობისათვის?

პასუხი: უთადარიგოდ წარმართვა სახელმწიფო დაწესებულების, ან საწარმოს სათავეში მდგომი პირის მიერ მისთვის მინდობილი საქმისა, რასაც შედეგად მოჰქვა საწარმოო გეგმის აუსრულებლობა, ან გამოშვებული ნაწარმოების თვისების გაუარესება, ან და საწარმოოს ქონების გაფლანგვა, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ან იძულებითი მუშაობით არა ნაკლებ ერთი წლისა, უკეთუ ეს დანაშაული არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდ. 113 მუხლში გათვალისწინებული (იხ. „კომუნისტი“ № 146) დანაშაულის ნიშნებს (სისხ. სამართლ. კოდ. მუხ. 131)

2. **კითხვა:** რა მოელის მოიჯარადრეს სახელმწიფო დოვლათის გაფლანგვისათვის?

პასუხი. გაფლანგაა მოიჯარადრის მიერ იმ სახელმწიფო დოვლათისა, რომელიც მას ხელშეკრულებით გადაეცა, როგორც წარმოების საშუალება, დაისჯება — თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა ხელშეკრულების გაუქმებით და მთელი ქონების, ან მისი ნაწილის კონფისკაციით (სისხ. სამართლ. კოდ. მუხ. 133).

(იხ. კოდექსი სისხ. სამ. კან. მუხ. 131—133).

მუშათა ქრონიკა

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** ზაფხულის სეზონის განმავლობაში ბაღში კვირაში სამჯერ გაიმართება სიმფონიური კონცერტები დამსახურებულ დირიჟორ ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

მოეწყობა აგრეთვე უკრაინული, რუსული და ქართული წარმოდგენები, კონცერტები, კინო და სხ. გასართობები.

ზანშეწონილება და ყველაფრის წინასწარ კარგათ გაზომვა და გამოანგარიშება.

არ შეიძლება, მაგალითად, რომელი თემმა დაიწყოს სახალხო სახლის შენება იმ დროს, როცა მას აღმასკომის სამმართველო, სკოლისა და სახალხო სასამართლოს შენობები და სხვა დაწესებულებანი, რომლებსაც სახალხო სახლზე მეტი თუ არა ნაკლები მნიშვნელობა მაინც არ შეიძლება ჰქონდეს მცხოვრებლებისათვის, თავზე ენგრევა და შეკეთება ვერ მოუხერხებია.

აღმასკომის მთელი შემადგენლობის, გინდ რომელიმე პასუხისმგებელი ამხანაგის ასეთი ინიციატივა და მუშაობა პირდაპირ დანაშაული იქნებოდა და არა სასარგებლო საქმიანობა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა და მისცა დირექტივები თემებში მომუშავე ამხანაგებს.

კითხვები და ამოცანები, რომელთა გადაჭრა და განხორციელება ამ ჟამათ იპყრობს სამაზრო აღმასკომის ყურადღებას, მრავალია.

მაგრამ ყველაზე უფრო აწუხებს აღმასკომს გურიაში უმთავრესი გზების საკითხი. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ არის ნატანებ ოზურგეთის რკინის გზის შესახებ, რომელზედაც ამ ჟამად გაორკეცებული მუშაობა სწარმოებს და თუ ადრე არა, ოქტომბრის საზეიმო დღესასწაულების დროსთვის იგი უთუოდ უნდა დასრულდეს.

კურორტ ბახმაროს გზის გაყვანა და გურიის უმთავრესი გზა-ტკეცილის (სადგურ საჯევახოსა და ქალაქ ოზურგეთ შუა) კაპიტალური შეკეთება და, რაც უმთავრესი და გადაუდებელია, ამ გზაზე თავისუფალი მიმოსვლისა და მოძრაობისათვის მდინარე ნატანებზე და ბახვის წყალზე წყალდიდობისაგან წაღებული ბოგების ალაგას ახლების აგება,—აი, რას უნდა მიქცეოდა ყურადღება. მაგრამ, საუბედუროდ, სამაზრო აღმასკომს ადგილობრივი საშვალებით არ შეუძლია მოახდინოს სასწაული და გააკეთოს ის, რის გაკეთებაც არ შეუძლია, თუ მას ცენტრი არ დაეხმარება. ცენტრს კი ჯერ-ჯერობით დაჟინებით ვერ მოვსთხოვდით მსხვილი თანხის გაღებას, ვინაიდან მას ბევრი ეხარჯება ნატანებ ოზურგეთის რკინის გზაზე და ამის გარდა მან დააკმაყოფილა აღმასკომის შუამდგომლობა სოფელ შემოქმედში და უჩხობში დამბების აგების შესახებ; ეს თანხა უდრის ოცი ათას ოქროს მანეთს.

სამაზრო აღმასკომმა შეადგინა ხარჯთ აღრიცხვა და გეგმა ხსენებული ბოგების ასაგებად, მიმართა დახმარებისათვის მთავრობას, მაგრამ, ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, შუამდგომლობა ამ ხანად ვერ იქნა დაკმაყოფილებული. მიუხედავად ამისა, აღმასკომს არ დაუკარგავს იმედი: იგი შეეცდება ახლო მომავლისათვის საშვალების გამონახვას. რაც შეეხება კურორტ ბახმაროს გზას, იქ, გასულ წელს დიდი მუშაობა სწარმოებდა. წელსაც აუცილებლად უნდა განახლდეს მუშაობა. ხალხი მზად არის, რომ იმუშაოს. ჯანმრთელობის კომისარიატმა რაღაც მიზეზის გამო დააგვიანა ინჟინერის გამოგზავნა. იყო დაპირება აგრეთვე აუცილებელი თანხის გადმოცემის შესახებ. თავისი მხრით აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ჯანმრთელობის კომისარიატის წინაშე, რომ ინჟინერი კენეცკის მაგიერ დანიშნულიყო ბახმაროს გზაზე მუშაობის ხელმძღვანელად ინჟინერი ამაშუკელი, რომელიც კიდევაც გაემგზავრა გზის დასათვალიერებლად აღმასკომის დავალებით. ასეა თუ ისე, ბახმაროს გზის გაყვანის საკითხი კარგა ხანია რაც გადაწყვეტილია. ბახმარო ეხლა სახელმწიფო კურორტად არის აღიარებული და ამიტომ, როგორც ახალსა და მოუწყობელს, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ბახმაროზე წელს ეწყობა მასწავლებელთათვის კურსები და პარტსკოლა გურიის კომიტეტისა. პირველში მსმენელების რიცხვი 80-დე იქნება, ხოლო მეორეში — 50-დე კურსანტები.

უჩხობში და შემოქმედში დაწყებულია წინასწარი მუშაობა დამბებზე. აღმასკომის მიერ ამ საქმის ხელმძღვანელობა, მინდობილი აქვს ინჟინერ ამაშუკელს.

ოზურგეთის ბავშვთა თავშესაფარი, სადაც 50 დე ბავშვები იზრდებიან, გადაყვანილ აქნა საზაფხულოთ შემოქმედის მონასტერში, სადაც მშვენიერი მდებარეობა არის და ჰავაც ძლიერ სალია. თვითონ მონასტერი, როგორც ასეთი, არ არსებობს, იგი ეკლესიებთან ერთად ხალხმა გააუქმა და მისი ერთი მეჯვეურთაგანი „მონა ღვთისა“ ქურდობისათვის ოზურგეთის გამასწორებულ სახლში მოათავსა.

ნათესებს ალაგ-ალაგ ძალიან კარგი პირი უჩანს, ალაგ-ალაგ კი მოისუსტებს. გვალვის ნიშნები თავის გავლენას ახდენს. საერთოდ კი ამ მხრით მდგომარეობა არ არის უნუგეშო. გურიაში ძალიან ბევრია სიმინდი, რომელსაც ფასი არა აქვს და სოფლის მუშა ვერ ახერხებს სიმინდის საშვალებით ბაზარზე მისთვის საჭირო და აუცილებელი მოსახმარი ნივთის შეძენას. გლეხი ვერ ყიდულობს მანუფაქტურას. აქ საჭიროა რაიმე ღონის ძიება. უმთავრესათ უნდა ვეცადოთ მომხმარებელი კოოპერატივების ამუშავებას და გამოცოცხლებას. ამ შემთხვევაში ცეკავშირმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმუმი ენერგიისა. დადიან ინსტრუქტორები, მაგრამ ეს არ კმარა, კოოპერატივში უნდა ეწყოს საქონელი, რომ გლეხი მივიდეს და შეიძინოს იგი.

აუარებელი პარკი შემოვიდა წელს, ფარდულები ვერ ასწრებენ მიღებას. აუცილებელია ავანსის დაჩქარებით გადმოცემა და დარიგება, რომ ხალხმა თავის დროზე ისარგებლოს ნაშრომით. აქაც ცეკავშირმა სასწრაფოთ უნდა გამონახოს საამისო საშვალება.

დაბოლოს კვლავ გვინდა შევეხოთ ანტი-საბჭოთა ელემენტებს და მათთან ბრძოლის საკითხს გურიაში. ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ მენშევიკების რიგები გაიხრწნა და იმათ დაჰკარგეს ყოველგვარი გავლენა გურიის მასსაში. მაგრამ სანამ ისინი საერთოდ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში განაგრძობენ ჩხირკედელაობას, სანამ მათ ყაჩაღები: მათითაშვილი, მუხაშარია და ღლონტი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი ჯერ კიდევ ტყეში იმყოფებიან, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გაგრძელდეს მათთან, განსაკუთრებით გურიაში. ყველაფერში ჩვენ პასუხი უნდა მოვსთხოვოთ მენშევიკებს: ქურდობაში, თავდასხმაში, მკვლელობაში, პროკლამაციის გამოცემაში და სხვა. და ეს იმიტომ რომ, ყოველგვარი ბოროტების სათავე დღეს არის გაბანდიტებული პარტია მენშევიკების, რომელსაც ყავს ტყეში გაშვებული საკუთარი ბანდიტები. აშკარაა, რაკი მენშევიკებს საერთოდ ჯერ კიდევ არ დაუგდიათ ჩხირკედელაობა, ისინი შეეცდებიან დანგრეული ორგანიზაციების აღდგენას. და ამ მიზნით გურიაშიც გაიჩენენ აგენტებს. ამას კი ვეღარ მოითმენს გურიის მშრომელი ხალხი, შესაფერ ზომებს მიიღებს და საბოლაოდ აღმოფხვრის ბანდიტურ პარტიის ნაშთებს (ეს არ შეეხება, რა თქმა უნდა, ყოფილ მენშევიკებს, რომლებმაც საჯაროთ დაგმეს ხსენებული პარტია და მისი რიგების მიტოვება გაზეთების საშვალებით გამოაცხადეს) და ამიტომ ჩვენ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა შეუჩერებელი, გაძლიერებული ტემპით, უნდა გავყვეთ ნაცად ხაზს და ვეძიოთ მიმამალული მტერი, რომ ერთხელ კიდევ დავკრათ მას თავში, თუ თავ გაჩეჩქილ შხამიან გველსავით იგი ოდესმე მოტეხილ ხერხემალს გაანძრევს.

აქ პოლიტბიუროს ფხიზელი თვალი და სამაზრო საგანგებო ხუთეულის ბასრი მახვილი აუცილებელია. ეს ორი, საკმაოთ ავტორიტეტიანი, ადგილობრივი ორგანოები, განაგრძობენ დგომას რევოლიუციის სადარაჯოზე. გურიაში უნდა მოისპოს და გაქრეს ანტი-საბჭოთა ელემენტის ჭაჭანება.

ა. დოლიძე.

პროვინციაში

ტობანიერის თემი (ქუთაისის მაზრა).

17 ივნისს აქ მოხდა მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა საზოგადო კრება.

თანამედროვე მომენტზე და მენშევიკური პარტიაზე, მოხსენებები გააკეთეს ყოფილ მენშევიკებმა, როგორც ქალაქის მუშებიდან, აგრედვე გლეხებიდანაც.

კრებას დაესწრო ორმოცამდე ყოფილი წევრი მენშევიკური პარტიისა.

დასასრულ კრებამ დაგმო მენშევიკური პარტიის პოლიტიკა, სცნო ის დამღუპველად მუშათა კლასისათვის.

წარსული წლის სიმშილობას და საერთოდ ეკონომიურ კრიზისს თან დაერთო საშინელი სენი „მალარია“ და ტიფის ეპიდემია.

დაუღალავი და დაუშრეტელი ენერგია გამოიჩინა ამ საშინელ სენთან ბრძოლაში, თემის ახალგაზრდა ექიმმა ა. თევდორაძემ, რომელიც დღე და ღამ ეწევა მუშაობას ამ დიდ თემში, რომლის სივრცე უდრის დიამეტრიულად 15 ვერსტს. სამწუხაროდ, ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირები ეწევიან ინტრიგას ამ პატიოსანი ექიმის წინააღმდეგ კერძო ინტერესებით, თავისუფალი პრაქტიკის მოპოების ნიადაგზე. მათ წინააღმდეგ აღმასკომი ღებულობს შესაფერ ზომებს.

ძალიან უხერხულობას იწვევს თემში შენობების უქონლობა საბჭოთა მთლიანი შრომის სკოლისათვის. ამ ზაფხულზე გადაწყვიტა თემმა აგოს შესაფერისი შენობა, რისთვისაც მიტინგზე აირჩია სამშენებლო კომისია, რომელიც აღმასკომთან ერთად უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

თემში არსებობს სახალხო სახლი და ზაფხულობით ეწყობა სახალხო წარმოდგენები ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ. აღსანიშნავია, რომ ეს სახლი აგებულია ადგილობრივი დრამატიული წრის ინიციატივით და საშუალებით. ხალხის კულტურულ მოთხოვნილებათა გაფართოებასთან ერთად, სახალხო სახლს დიდი სამუშაო აქვს შესასრულებელი. ცხადია დრამატიული წრე, როგორც კერძო ჯგუფი ვერ შესძლებს ამ დიდი საქმის კეთებას. საჭიროა აღმასკომების ჩარევა ამ საქმეში და სათემო თანხების გამოღება, რომ სოფლის მუშის კულტურული კერა დადგეს თავის სიმაღლეზე.

თემში მღვდლებმა გაიხადეს ანაფორა და შეუდგნენ ჩვეულებრივ მუშაობას და სამოქალაქო ცხოვრებას.

ს. ხულაბერიძე.

სახალხო სახლი თიანეთში.

თიანეთის სამაზრო აღმასკომმა დაამთავრა სახალხო სახლის (თეატრის) შენობა და გადასცა პარტკომის პოლიტ-განათლების განყოფილებას.

ამ შენობის დარბაზი სივრცით თითქმის თბილისის ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის დარბაზის ტოლია, ასევე შეიძლება ითქვას სცენაზეც.

სცენის წინა კედელზედ მოსჩანს მუშურ-გლეხური მთავრობის ემბლემა, ჩაქუჩი და ნამგალი; შესავალ კარების თავზედ ასეთივე ემბლემაა გამოხატული წითელ ვარსკვლავზედ.

ძველ დროში ქ. თიანეთის მახლობლად ტყეში გაშენებული იყო საგარაკო სასახლე, აშენებული იმპერატორ - ნიკოლოზის მამის სამი დღით სტუმრად მობრძანების გამო და შემდეგ ის გადაიქცა მისი ოფიცრების და გენერლების სადგომად.

ამ სასახლეების ნაცვლად საბჭოთა მთავრობამ მოაწყო სახალხო სახლი, რომლის გახსნა დანიშნულია 22 ივლისისთვის. თეატრი გახსნილ იქნება რევოლიუციის ერთ-ერთის ბელადის სახელობაზედ; ამ დღისათვის გაიმართება საზეიმო წარმოდგენა, მოწვეულნი იქნებიან საპატიო სტუმრები სხვა და სხვა მაზრებიდან. საზეიმო დღესასწაულის მომწყობმა საგანგებო კომისიამ გაგზავნა თავის წარმომადგენელი სახ. განათ. კომისარიატში დეკორაციების, ხელმძღვანელის და სხვა და სხვა საჭირო დახმარების მისაღებად.

თიანეთის მშრომელი მასსა და ინტელიგენცია იმედს გამოსთქვამს, რომ ცენტრი ყურადღებას მიაქცევს და გაგვიწევს სათანადო დახმარებას ამ დიად საქმეში.

გ. უ.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „კომუნისტში“ 1923 წ. 30 მაისის 121 ნომერში მოთავსებულია წერილი ს. გოდაბრელიძისა სახალხო სასამართლოზე, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, ბრალსა სდებს სახ. მოსამართლეთა საბჭოს, ვითომ და ის ყურადღებას არ აქცევს შრომის დარღვევის საქმეებს და ამ რიგათ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში გარჩეული საქმეები „განისვენებენ“ მარტამდე და მიუხედავათ დაპირებისა, საქმეები დანიშნული იყვნენ ერთი თვის შემდეგ; ალბათ მათთვის, დასძენს ავტორი, ერთი თვე ნიშნავს სიჩქარესო. ასეთი ცნობები არ შეეფერებიან სიმართლეს. ნოემბერში და დეკემბერში შრომის დაცვის დეკრეტის დარღვევაზე საქმეები სრულიად არ შემოსულან, შემოვიდა მხოლოდ რამოდენიმე საქმე იანვარში და თებერვალში. ისინი მართლა ერთ თვემდე შეჩერებული იყვნენ, მაგრამ ამაში საბჭო დამნაშავე არ იყო. ამას ჰქონდა სხვა და სხვა მიზეზები. გამოქვეყნებულ ნოემბრის და თებერვლის ამნისტიებში არაფერი არ იყო ნათქვამი შრომის დარღვევის საქმეებზე. საქმეები უნდა მოსპობილ ყოფილიყვნენ ან პირველი ან მეორე ამნისტიით. ამ გარემოებამ საბჭო ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში, რის გამო იყო მოლაპარაკება და თათბირი შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულებთან. აი ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რის გამო საქმეთა მსვლელობა შეფერხებული იყო. ამ დროს შრომის კომისარიატიდან მოგვივიდა მოწერილობა, რომ საქმეები შევაჩეროთ, რადგან აღძრული იყო კითხვა, რომ ამ საქმეებზე ამნისტიის შეფარდება შეზღუდული ყოფილიყო. ამ მოწერილობის გამო, მარტის პირველ რიცხვებში დანიშნული საქმეები მოხსნილ იყვნენ, სანამ იუსტიციის სახ. კომისარიატიდან არ მოგვივიდოდა წინადადება, რომ ამ საქმეების განხილვის დროს გვეხელმძღვანელა 25 თებერვლის ამნისტიის 14 მუხ. აი მიზეზები, რის გამო საქმეები „განისვენებენ“ საბჭოში. რომ ავტორს თავი შეეწუხებია და გაეგო რაში იყო საქმე და გამოეკითხა შრომის სახ კომისარიატის რწმუნებულებისათვის, რომლებიც, მგონია, ჩახედულები არიან ამ საქმეებში იციან თუ რა დაკვირვებით და სიფრთხილით ეპყრობა საბჭო შრომის დარღვევის საქმეებს და ნიშნავს საქმეებს მათთან შეთანხმებით, რომ ავტორმა იცოდეს, რომ საბჭო რამდენათ თავის რწმენით ახლო სდგას მათთან და ჰყავს შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ საკონფლიქტო კომისიაში თავისი ორი წარმომადგენელი, რომლებიც თითქმის ყოველ დღე იქ მუშაობენ,—მაშინ ამისთანა საყვედურებით არ გამოვიდოდა საბჭოს წინააღმდეგ. რაც შეეხება საქმეების დანიშვნას ერთი თვის შემდეგ, რაზედაც ჩვენ გვისაყვედურებს ავტორი, ესეც მოხდა ზემოხსენებული მიზეზების გამო და ამასთანავე მოკლე ხანში საქმის დანიშვნა მოუხერხებელია, რადგან უწყებები იგზავნებიან მილიციის საშვალებით, უკანასკნელი კი დროზე ვერ ასწრებს მათ ჩაბარებას, რის გამო აუარებელი საქმეები იდებიან. ეხლა ათ დღეში დავნიშნეთ საქმეები, მაგრამ ჯერ არ ვიცით რა შედეგი მოჰყვება მას. ასეა საქმე, და თუ უკეთ მოეწყობა უწყებათა ჩასაბარებელი აპარატი, ვიძლევით სიტყვას, რომ საქმეებს დავნიშნავთ მეორე დღესვე.

სახალხო მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარე **ან. ახმეტელი.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი 1923 წ. ივნისის 22

ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადამხდელთათვის ადმინისტრატიული სასჯელის დადების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-19 მუხ. განსავითარებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომის. საბჭო ადგენს:

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-13 მუხ. თანახმად მოსაწყობ სამაზრო საგადასახადო სამეულს მიეცეს უფლება გადასახადის არა პირიანი გადამხდელი დაატუსაღოს (ორ კვირაზე არა უმეტესი ვადით და აგრეთვე მიეცეს უფლება დაადოს მას ჯარიმა ერთ მეხუთედზე არა უმეტეს გადასახადის იმ ნაწილისა, რაც მას გადასახდელი აქვს უწყებული ვადის განმავლობაში.

შენიშვნა: ერთსა და იმავე დროს დატუსაღებაც და ჯარიმის დადებაც არ შეიძლება.

2. დატუსაღება და ჯარიმის დადება განჩინება: ა.,—გადასახადის თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის. ბ.,—გადასახადის ანგარიშში მეორეჯერ უხეირო პროდუქტის წარდგენისათვის იმისდა მიუხედავად, რომ პროდუქტის მიღებაზე ერთხელ უკვე უარი იყო განცხადებული.

3. დატუსაღება ან ჯარიმის დადება შეიძლება ორ ჯერზე არა უმეტესად თვითეული გადამხდელის მიმართ.

4. თვითეული დატუსაღებისათვის ან ჯარიმის დადებისათვის შედგენილ უნდა იქნეს დასაბუთებული დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რაში გამოიხატება გადამხდელის არაპირიანობა; აგრეთვე მას წინასწარ უნდა განემარტოს—რა სასჯელიც შეიძლება მოელოდეს მას შემდგომისათვის. დადგენილება უნდა გამოეცხადოს გადამხდელს მისი ხელი მოწერით, ხოლო უკეთუ მან წერა არ იცის, ორი მოწმის თანდასწრებით.

5. აღნიშნული დადგენილება აღსრულებაში მოყვანილ უნდა იქნეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების მეშვეობით:

6. გადამხდელს უფლება ეძლევა განასაჩივროს საგადასახადო სამეულის მოქმედება—სასჯელის დადების გამო—ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს სასჯელის შეფარდებას.

7. საგადასახადო სამეული პასუხისმგებელია ადმინისტრატიული და სასამართლოს წესით, უკეთუ უკანონოდ გამოიყენებს ამა დადგენილებით მინიჭებულს უფლებას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტს თავმჯ. მ. ცხაკაია.

სახალხო კომისართა საბჭოს თამჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. მდივ. ბ. თალიბლი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. 1923 წ. ივნისის 25

კანონპროექტების წარდგენის წესის შესახებ.

საკანონმდებლო კომისიაში კანონპროექტების წარდგენის შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა წლის აპრილის 16 თარიღით გაცემული ცირკულიარული განკარგულების დამატებად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ყოველი კანონპროექტი, რომელსაც უწყება შეიტანს საკანონმდებლო კომისიაში, შედგენილ უნდა იქნეს დეკრეტის პროექტის სახით და შიგ გარკვევით უნდა აღინიშნოს გასაუქმებელი ან შესაცვლელი კანონდებულება. ამა პროექტის თითო ცალი, გარდა დაწესებული ხუთი ცალისა, იმავე დროს უნდა გაეგზავნოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თვითეულ წევრს კუთვნილებისამებრ.

2. საკანონმდებლო განზრახულების საკანონმდებლო კომისიაში შეტანის წინასწარ უნდა მოხდეს შეთანხმება დაინტერესებულ უწყებებთან, რაც დადასტურებული უნდა იყოს დაწესებულების მეთაურის ხელმოწერით პროექტზე, ან მისი წერილობითი პასუხით.

3. უკეთუ შესატანი პროექტის შესახებ დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმება მიღებულ ვერ იქნა, ყოველი არა შეთანხმებული თვალსაზრისი გარკვევით უნდა იქნეს აღნიშნული.

4. უკეთუ ის უწყება, რომელთანაც შესატანი წინადადება წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს შვიდი დღის განმავლობაში დღიდან მის მიერ პროექტის მიღებისა,—არ წარუდგენს კანონპროექტის შემტან უწყებას თავის წერილობითი დასკვნის კონტრ-პროექტს, პროექტი შეიძლება შეტანილ იქნეს საკანონმდებლო კომისიაში შეუთანხმებელი სახითაც და ამ შემთხვევაში საქმის შემდგომი წარმართვა განისაზღვრება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა ან ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით—კუთვნილებისამებრ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

დადგენილება № 103.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისათვის სასყიდლის დაწესების გამო 1922 წ. აგვისტოს 31 თარიღითა და 46 №-რით გამოცემული დადგენილების მოქმედების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისათვის სასყიდლის და წესების შესახებ—1922 წ. აგვისტოს 31 თარიღით და 46 №-ით გამოცემული დადგენილების მოქმედება გაუქმებულ იქნეს სრულიად.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალაყაიძე.

1923 წ. ივნისის 29
თფილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ც. კ. სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს გამოცხადდენ სამი-დღის განმავლობაში პირადი მოსალაპარაკებლად შემდეგ ამხანაგებს: 1. მიცელიანი სტეფანე, 2. გაილეკ ბეგრაბანი, 3. პლატონ შუშამია, 4. ალექსანდრე ზახაროვი.

ც. კ. სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქ.-განყ. გამგე: ა. ლიცინოვი.

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ტფილისის კომიტეტი სასტიკ საყვედურს უცხადებს და უკანასკნელ გაფრთხილებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს უჯრედებისა და პოლიტ წრეების მუშაობის სისტემატიური შეფერხებისათვის: ამხ. რაბინოვიჩს, ბობრიშევს, ბელოვს, აზნაურიანს, გორდელაძეს, გვაზავას, ბელენკის, ცინცაძეს, დ. მეტონიძეს, ნ. კუზნეცოვას, აკოპოვს რ. და ლეკვეიშვილს.

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-10-ე საუბნო კომიტეტი [illegible], რომ ოთხშაბათს, 4 ივლისს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის საბჭოს დარბაზში **დანიშნულია მე-4-ე უბნის დელეგატთა კრება მდივნების თანდასწრებით.** ყველა დელეგატებისა და მდივნების დასწრება სავალდებულოა. უჯრედების პასუხისმგებელი მდივნები ვალდებულნი არიან თავისი პასუხისმგებლობით აცნობონ თავ-თავიანთ დელეგატებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან კრებას დაესწრონ.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

განცხადებები

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი
აქირავებს საზაფხულოდ ოთახებს, მარტყოფის მონასტერთან
(შეიძლება მოწყობილობითაც). თვალწარმტაცი მიდამო. მშვენიერი კლიმატიური სადგური.
ფასები ხელმისაწვდომია.
7-დან 15 მანეთამდე (ჩერვონცებით) თვიურად.
ცნობების მიღება შეიძლება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში. ოთახი № 48. (484—3—1)

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ.
კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—15

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით ტფილისი, ყოლაბოვის ქ. № 20 (501—25—10)

დაკარგე ვასილ გრიგოლის ძე მამულოვის სახლის (ფერმო-ავლაბრის ქუჩა № 11) წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად. (911—1—1)

დაკარგე ვინაობის წიგნაკი. ბარსეგა [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (910—1—1)

დაკარგე ვინაობის წიგნაკი, გაცემული სპარსეთის ელჩის მიერ სოლომონ გასპარის ძე გასპაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (914—1—1)

დაკარგე უვადო პასპორტი მოცემული ტფილისის მილიციის უფროსისაგან დავით აბრამოვის ძე გოგიჩაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (913—1—1)

დაკარგე შინამრეწველთა სანიტარული შრომის კავშირის წიგნაკი № 219, პატენტი № 11010 და სარეგისტრაციო ქაღალდი სამხედრო უწყებიდან ბაგრატ ბაგდასაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (912—1—1)

ნიჟნი-ნოვგოროდის
ბაზრობა
გახსნება 1923 წლის 1-ლ აგვისტოს
ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს იწვევენ მიიღონ ფართე მონაწილეობა ამ ბაზრობაში.
ყველა ცნობების მიღება შეიძლება თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟასთან არსებულ **ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის ხელის შემწყობ ამიერ-კავკასიის ბიუროში** სოლოლაკის ქ. № 7.
ტელეფონები: 4—60 და 9—33.
ცნობების მიღება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
კრ. (485—3—1)

იბ. „ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.